

**ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია**

**VI**

**თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი, თსუ**

**საერთაშორისო სიმპოზიუმი TbiLLC**

**LANGUAGE, LOGIC, COMPUTATION**

**VI**

**Institute of Theoretical and Applied Linguistics, TSU**

**TbiLLC**

**2019**

**სარედაქციო კოლეგია:** მათიას ბააზი, ვენის უნივერსიტეტი  
გურამ ბეჟანიშვილი, ნიუ-მექსიკოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თამაზ გამყრელიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პოლ დეკერი, ამსტერდამის უნივერსიტეტი  
დიკ დე იონგი, ამსტერდამის უნივერსიტეტი  
სებასტიან ლობნერი, დიუსელდორფის უნივერსიტეტი  
ბარბარა პარტი, მასაჩუსეტის უნივერსიტეტი

**გამოცემის რედაქტორები:** რუსუდან ასათიანი  
დავით გაბელაია  
მარინე ივანიშვილი  
თემურ კუცია  
ეთერ სოსელია

**დაკაბადონება:** გიორგი ბაგრატიონი

**Editorial Board:** Matthias Baaz, University of Vienna  
Guram Bezhanishvili, New Mexico State University  
Paul Dekker, University of Amsterdam  
Thomas Gamkrelidze, Tbilisi State University  
Dick de Jongh, University of Amsterdam  
Sebastian Löbner, University of Dusseldorf  
Barbara Partee, University of Massachusetts

**Managing Editors:** Rusudan Asatiani  
David Gabelaia  
Marine Ivanishvili  
Temur Kutsia  
Ether Soselia

**Layout:** George Bagrationi

**შინაარსი**  
**CONTENTS**

წინასიტყვაობა Preface .....5

**ენა LANGUAGE** .....7

ენდრიუ კარნიე, გენერატიული გრამატიკა  
თარგმნეს ნათია დუნდუამ და თინათინ ტენტერაშვილმა .....7

Marika Butskhrikidze, Pronunciation of Grammatical Words in Connected Speech:  
A Case Study of Albanian EFL Learners .....37

**ლოგიკა LOGIC** .....58

ალფრედ ტარსკი,  
რა არის ელემენტარული გეომეტრია  
თარგმნა ევგენი კუზნეცოვმა .....58

Levan Uridia, FROM BELIEF to KNOWLEDGE ..... 81

**კომპიუტერიზაცია COMPUTATION** ..... 94

ფონ ლი და ვილემ ზაუდემა,  
კომპოზიციური დისტრიბუციული სემანტიკა  
ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერებით  
თარგმნეს ნინო ამირიძემ და თემო კუციაშვილმა ..... 94

Nino Amiridze and Temur Kutsia, ANTI-UNIFICATION AND  
NATURAL LANGUAGE PROCESSING ..... 114

© ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია  
© Language, Logic, Computation

ISSN 1512-3170

გამომცემლობა „ნეკერი“, 2019

## **წინასიტყვაობა**

ორენოვანი ჟურნალი „ენა, ლოგიკა, კომპიუტერიზაცია“ აგრძელებს, ერთი მხრივ, ენის, ლოგიკისა და კომპიუტერიზაციის კვლევასთან დაკავშირებული კლასიკური და უახლესი უცხოენოვანი ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმანების გამოქვეყნებას, მეორე მხრივ კი, საერთაშორისო სამეცნიერო წრეებს აცნობს ქართველ მეცნიერთა შრომებს ინგლისურ და/ან გერმანულ ენებზე.

ჟურნალი მომზადდა თსუ „ენის, ლოგიკისა და მეტყველების“ ცენტრის ინიციატივითა და საერთაშორისო სიმპოზიუმის LLC დაფინანსებით, რისთვისაც საორგანიზაციო კომიტეტს უღრმეს მადლობას მოვასხენებთ.

გამოცემის რედაქტორები

## **PREFACE**

This journal introduces a new volume of “The Georgian Journal for Language, Logic, Computation” edited by the CLLS of TSU with support of the International Symposium LLC. The aims of the journal are twofold: It should increase the availability of the most fundamental publications of logic and linguistics to the general Georgian audience by translating them into Georgian language. In addition it should promote the international access to important papers of Georgian scientists hitherto untranslated by editing them in English. The volume will therefore establish a forum for the Georgian public and international and Georgian scientists to promote the awareness of the international research in logic and linguistics in Georgia. It should be considered as part of the efforts to reestablish Georgia within the European research space.

Editors



# გენერატიული გრამატიკა<sup>1</sup>

## ენდრიუ კარნიე

### შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ ენას და შესაბამისი წარმოდგენაც გვაქვს მასზე, იშვიათად ვფიქრობთ მის გასაოცარ ბუნებაზე. მეცნიერები მრავალი საკითხის შესახებ მსჯელობენ; მაგალითად, ენის ე.წ. „ექსპერტი“ უილიამ სეფაიერი (William Safire) გვესაუბრება სიტყვის *hopefully* არასწორ გამოყენებაზე, ან ლექციას გვიკითხავს სიტყვის *boondoggle* წარმოშობის შესახებ, მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, ისინი ვერასოდეს უახლოვდებიან ენის ჭეშმარიტად გასაოცარ ბუნებას: სინამდვილეში როგორ მუშაობს ენა როგორც რთული მექანიზმი. მოდით, წამით დავფიქრდეთ. თქვენ კითხულობთ და გესმით ნებისმიერი ტექსტის შინაარსი, მაგრამ არა გაქვთ გაცნობიერებული ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ ახერხებთ ამას. ამ ჯადოქრობის შესწავლა არის ენათმეცნიერების საგანი. ეს წიგნი ეხება ენის შესწავლის ერთ-ერთ ასპექტს: როგორ სტრუქტურირდება წინადადებები, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, **სინტაქსს**.

ენა წარმოადგენს ადამიანის ფსიქოლოგიურ ან კოგნიტიურ საკუთრებას. ეს, მაგალითად, ნიშნავს, რომ ჩემს ტვინში ნეირონთა გარკვეული ჯგუფის გალიზიანების შედეგად მე აქ ვზივარ და წარმოვქმნი ასოთა ამ მიმდევრობას; ასევე, თქვენს ტვინში ნეირონთა სხვა ჯგუფის გალიზიანება საშუალებას გაძლევთ ეს ჩახლართული მიმდევრობები თარგმნოთ შესაბამის გასაგებ აზრებად და იდებოდ. ყველაფერი ეს რამდენიმე ქვესისტემის მუშაობის შედეგია. განვიხილოთ ისინი მოკლედ. თუ უსმენთ ჩემს ლაპარაკს, მე წარმოვქმნი ბგერათა ტალღებს ჩემი სახმო სიმებით და წარმოვთქვამ გარკვეულ სამეტყველო ბგერებს ჩემი ენით, ბაგეებით და სახმო სიმებით. პროცესის ბოლოს თქვენ უნდა გაიგონოთ ხმოვანი ტალღები და უნდა თარგმნოთ ისინი სამეტყველო ბგერებად თქვენი სასმენი აპარატის გამოყენებით. მეტყველების არტიკულაციისა და აკუსტიკის შესწავლა **ფონეტიკის**

<sup>1</sup> გთავაზობთ ე. კარნიეს წიგნის პირველი ნაწილის (გენერატიული გრამატიკა. შესავალი) თარგმანს: Andrew Carnie. Syntax: A Generative Introduction. Third Edition. 2013. Wiley-Blackwell, A John Wiley & Sons, Ltd., Publication – Part I. Preliminaries. Generative Grammar. pp 1-29.

## LANGUAGE

საგანია. როგორც კი ადამიანი გარდაქმნის ხმოვან ტალღებს სამეტყველო ბგერების მენტალურ წარმოდგენებად, იგი უკვე აანალიზებს მათ მარცვლებად და ალაგებს შესაბამისად. მაგალითად, ინგლისურ ენაზე მოლაპარაკებმა იციან, რომ წარმოქმნილი სიტყვა *bluve* შესაძლოა იყოს ინგლისური სიტყვა, ხოლო *bnuck* – არა. მეცნიერების ამ ნაწილს ეწოდება **ფონოლოგია**. მომდევნო საფეხურზე ადამიანები იღებენ ბგერათა ამ ჯგუფებს და მათი სისტემური დალაგებით ქმნიან მნიშვნელობის მქონე ერთეულებს (მორფემებს) და სიტყვებს. მაგალითად, სიტყვა *dancer* შედგება მნიშვნელობის მქონე ორი ერთეულისაგან: *dance* და სუფიქსი *-er*. ენის ამ დონეზე კვლევას ეწოდება **მორფოლოგია**. შემდეგ თქვენ ალაგებთ სიტყვებს ფრაზებად და წინადადებებად. ენობრივი სისტემის ამ დონის შესწავლისათვის ზოგადი ტერმინია **სინტაქსი**. საბოლოოდ, ფრაზებსა და წინადადებებს, რომლებიც გესმით, გარდაქმნით აზრებად და იდეებად. ეს არის ბოლო ნაბიჯი, რომელიც მიემართება ენობრივი სისტემის შესწავლის **სემანტიკურ** დონეს.

სინტაქსი შეისწავლის ენის იმ დონეს, რომელიც მოქცეულია სიტყვებსა და გამონათქვამების – წინადადებების – მნიშვნელობებს შორის. ეს არის მედიატორული დონე წარმოთქმულ ბგერებსა (რომლებიც სიტყვებად არის ორგანიზებული) და იმას შორის, რისი თქმაც სურთ.

ენის შესწავლის ერთ-ერთი მართლაც გასაოცარი ასპექტი, ალბათ, არ გულისხმობს მხოლოდ სიტყვა *demerit*-ის წარმომავლობის შესწავლას, პუნქტუაციის წესებს ან იმას, თუ როგორ დაანგრიეს ბავშვებმა ინგლისური ენა. სინამდვილეში, ეს არის კვლევა იმის შესახებ, თუ როგორია გზა ბგერებიდან და სიტყვებიდან მნიშვნელობებამდე. ეს არის სინტაქსის შესწავლის საგანი.

### 1. სინტაქსი როგორც კოგნიტიური მეცნიერება

კოგნიტიური მეცნიერება მოიცავს იმ დისციპლინათა ჯგუფს, რომელთაც აქვთ ერთი და იგივე მიზანი: აღწერონ და ახსნან ადამიანის შესაძლებლობა იაზროვნოს (ან, უფრო კონკრეტულად, იფიქროს აბსტრაქტულ ცნებებზე, როგორებიცაა სუბატომური ნაწილაკები, სხვა პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის შესაძლებლობა, ან თუნდაც რამდენი ანგელოზი დაეტევა ნემსის წვერზე, და სხვ.). ერთი რამ, რაც ადამიანებს განასხვავებს სხვა ცხოველებისაგან, თუნდაც შედარებით უფრო ქვევანი შიმპანზეებისა და სპილოებისაგან, არის ის, რომ ჩვენ შეგვიძლია პროდუქტიულად გამოვიყენოთ ენა. ენა თამაშობს მნიშვნელოვან



როლს აბსტრაქტულ ცნებათა გააზრებაში; ან, სულ მცირე, ჩანს, რომ ენა სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ ის გვაძლევს აბსტრაქტული ცნებების გამოხატვის საშუალებას.<sup>2</sup> ამგვარად, ლინგვისტიკა არის კოგნიტიური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვედისციპლინა.<sup>3</sup> წინადადებებით გამოვხატავთ აბსტრაქტული აზროვნების პროცესებს, ასე რომ, სინტაქსის შესწავლა არის მნიშვნელოვანი საყრდენი იმის გასაგებად, თუ როგორ ვამყარებთ კომუნიკაციას და ვურთიერთობთ ერთმანეთთან.

## 2. სინტაქსის მოდელირება

ნოამ ჩომსკისა და მის თანამოაზრეთა მიერ შექმნილი უმთავრესი სინტაქსური თეორიის მოდელირება 1950-იანი წლებიდან იწყება და გრძელდება დღემდე. ამ თეორიას, რომელსაც განვითარების პროცესში სხვადასხვა სახელი ჰქონდა (ტრანსფორმაციული გრამატიკა (TG), ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკა, სტანდარტული თეორია, გავრცობილი სტანდარტული თეორია, მართვისა და ბმულობის თეორია (GB) (Government and Binding theory), პრინციპები და პარამეტრული მიდგომა (P&P) (Principles and Parameters approach) და მინიმალიზმი (MP)), ხშირად მოიხსენიებენ, როგორც **გენერატიულ გრამატიკას**. ამ კვლევითი პროგრამიდან წარმოიშვა მთელი რიგი სინტაქსური თეორიების განშტოებები. ეს მოიცავს ლექსიკურ-ფუნქციონალურ გრამატიკას (LFG) და თავით-მართული ფრაზის სტრუქტურულ გრამატიკას (HPSG) (ესენიც გენერატიულ გრამატიკად არის მიჩნეული). გენერატიული გრამატიკის ერთ-ერთი ვერსია, რომელსაც აქ უმეტესად შევხებით, არის, უხეშად რომ ვთქვათ, პრინციპებსა და პარამეტრებზე დამყარებული თეორიული მიდგომა (Principles and Parameters approach), თუმცა აქედან შიგადაშიგ გადავიხრებით უფრო ახალი ვერსიისკენ, რომელსაც ეწოდება **მინიმალიზმი**.

გენერატიული გრამატიკის ძირითადი თეზისია ის, რომ წინადადებები წარმოიქმნება ქვეცნობიერი პროცესების შედეგად (კომპიუტერული პროგრამების მსგავსად). ეს პროცესები წარმოადგენს ჩვენი აზროვნების, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოგნიტიური შესაძლებლობების, ნაწილს. სინტაქსური თეორიის მიზანია,

2 ზღუდავს თუ არა ენა იმ აბსტრაქტულ ოდენობებს, რომლებზეც ჩვენ ვფიქრობთ (ამ თვალსაზრისს ეწოდება სეპირ-უორფის ჰიპოთეზა), უაღრესად საკამათო საკითხია და სინტაქსის ფარგლებს ცდება.

3 ფსიქოლოგიასთან, ნეირომეცნიერებებთან, კომუნიკაციასთან, ფილოსოფიასთან და კომპიუტერულ მეცნიერებებთან ერთად.

## LANGUAGE

ვანარმოთ ამ პროცესების მოდელირება, ანუ, ჩვენ ვცდილობთ წარმოვიდგინოთ, რა ვიციტ ქვეცნობიერად ჩვენი ენის სინტაქსის შესახებ.

გენერატიულ გრამატიკაში ამ პროცესების მოდელირება ხდება ფორმალური გრამატიკული წესების სიმრავლის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ამ წესებს არაფერი აქვთ საერთო იმ გრამატიკულ წესებთან, რომლებსაც სკოლაში სწავლობდით. ისინი არ გასწავლიან, როგორ უნდა იხმარო სწორად პუნქტუაციის ნიშნები წინადადებაში, ან რომ არ უნდა გახლიჩო ინფინიტივი. ამის ნაცვლად, ისინი გვეუბნებიან, როგორ რიგს, დავალაგოთ სიტყვები წინადადებაში. მაგალითად, ინგლისურში სუბიექტი ყოველთვის წინ უძღვის ზმნას – ეს არის ისეთი ინფორმაცია, რომელიც კოდირებულია გენერატიულ წესებში. ამ წესებმა უნდა წარმოქმნან, მოახდინონ წინადადებების გენერაცია ენაში. აქედან მოდის სახელწოდება *გენერატიული გრამატიკა*. თქვენ შეგიძლიათ იფიქროთ ამ წესებზე, როგორც ბრძანებაზე კომპიუტერულ პროგრამაში. ის, კომპიუტერული პროგრამის მსგავსად, ნაბიჯ-ნაბიჯ დაგალაგებინებთ სიტყვებს წინადადებაში.


### **3. სინტაქსი როგორც მეცნიერება – მეცნიერული მეთოდი**

აღამიანთა უმრავლესობისათვის ენის შესწავლა მიეკუთვნება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, რაც ნიშნავს, რომ ენის შესწავლა ემსახურება მხოლოდ ენის გამოყენების „მშვენიერებას“ კარგ (და არცთუ ისე კარგ) ლიტერატურაში. თუმცა, არ არსებობს სხვა კონკრეტული მიზეზი, გარდა ჩვენი მისწრაფებისა, საიმისოდ, რომ ენის შესწავლა შევზღუდოთ ჰუმანიტარული მიდგომით. ასევე შესაძლებელია, ენის შესწავლას მივუდგეთ მეცნიერული პერსპექტივიდან; ეს ენათმეცნიერების სფეროა. აღამიანები, რომლებიც შეისწავლიან ლიტერატურას, ხშირად ადანაშაულებენ ენათმეცნიერებს, რომ ისინი გაურბიან კარგი პროზის სიმდიდრეს და ჩრდილში აქცევენ ენის მშვენიერებას. ეს სიმართლისგან შორსაა. ენათმეცნიერთა უმრავლესობა, ამ ნაშრომის ავტორის ჩათვლით, სიამოვნებით კითხულობს ღირებულ მხატვრულ ლიტერატურას და მეტიც, მომიჯნავედ, ისინი ხშირად შეისწავლიან ენის ჰუმანიტარულ ასპექტებს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ისინი არ აფასებენ და არ სწავლობენ ენის ფორმალურ თვისებებს (ან წესებს) და ამას მხოლოდ მეცნიერული პერსპექტივიდან განიხილავენ. ენის შესწავლის ეს ორივე მიდგომა ღირებულია, ისინი ავსებენ ერთმანეთს და არ გამორიცხავენ ერთს მეორისაგან.

*მეცნიერება*, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე ღარიბულად განმარტებული

სიტყვა ინგლისურ ენაში. ჩვენ მეცნიერებად ისეთ ადამიანებს მივიჩნევთ, რომლებიც სწავლობენ ბაქტერიებს, ფიზიკურ ნაწილაკებს, ქიმიური ნაერთების წარმოქმნას, თუმცა, ქუჩაში რომ ჰკითხოთ ნებისმიერ ჯოს ან ჯილს, რა არის მეცნიერება, გაგიჭირდებათ რიგიანი განმარტების მიღება. მაგრამ თავად მეცნიერებისთვის, *მეცნიერება* მიემართება შესწავლის გარკვეულ მეთოდოლოგიას: სამეცნიერო მეთოდს. სამეცნიერო მეთოდების ცნება საფუძველს იღებს უძველეს საბერძნეთში (არისტოტელე, ევკლიდე, არქიმედე). მეთოდი მოიცავს მონაცემებზე დაკვირვებას, მონაცემთა მოდელის განზოგადებას, ჰიპოთეზების განვითარებას და მიღებული ჰიპოთეზების გადამოწმებას უფრო მეტ მასალაზე. საბოლოოდ, ეს ჰიპოთეზები გადაიხედება, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ მასალასთან და შემდეგ კვლავ გადამოწმდეს. მეთოდის თანმიმდევრობა ასე შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

1)



სინტაქსში ამ მეთოდოლოგიას წინადადების სტრუქტურის კვლევისას ვიყენებთ. სინტაქსის სპეციალისტები იწყებენ<sup>4</sup> ენობრივ მასალაზე დაკვირვებით, შემდეგ მასალაში მოპოვებულ მოდელებს განაზოგადებენ (მაგ., ინგლისურის მარტივ თხრობით წინადადებებში სუბიექტი წინ უსწრებს ზმნას), შემდეგ აგებენ ჰიპოთეზებს და ამოწმებენ მათ უფრო მეტ სინტაქსურ მასალაზე. ბოლოს, თუ საჭირო გახდა, უბრუნდებიან და გადააფასებენ ჰიპოთეზებს.

4 ეს ოდნავ ზედმეტად გამარტივებული სურათია. აქ საქმე გვაქვს „ქათმისა და კვერცხის“ პრობლემასთან. თქვენ არ შეიძლება იცოდეთ, რა მასალა უნდა შეისწავლოთ, თუ არ გაქვთ ჰიპოთეზა იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი; და თქვენ არ გექნებათ ჰიპოთეზა, თუ არ გაქვთ რაღაც ძირითადი წარმოდგენა მასალაზე. საბედნიეროდ, ისევე, როგორც სინტაქსში მომუშავეთა ეს ფილოსოფიური დილემა ხშირად არარელევანტურია, ასევე შეგვიძლია გადავეშვათ ორივეში ერთსა და იმავე დროს – ჰიპოთეზის ფორმირებასა და მასალის ანალიზში.

## LANGUAGE

ჰიპოთეზები სასარგებლოა მხოლოდ **პროგნოზის** გასაკეთებლად. ჰიპოთეზა, რომელიც არ იძლევა პროგნოზს (ან, უარეს შემთხვევაში, ყველაფერს უშვებს) უვარგისია სამეცნიერო თვალსაზრისით. კერძოდ, ჰიპოთეზა უნდა იყოს **შესწორებადი**. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა შეგვეძლოს მოვიძიოთ რაიმე მასალა, რომელიც, თუ ჭეშმარიტია, გვიჩვენებს, რომ ჰიპოთეზა მცდარია. ჩვენ ხშირად ვეძებთ შემთხვევებს, როცა, ჩვენი ჰიპოთეზების მიხედვით, წინადადება უნდა იყოს გრამატიკული (და ის არ არის), ან შემთხვევებს, როცა, ჰიპოთეზების თანახმად, წინადადება არაგრამატიკული უნდა იყოს (ფაქტის საწინააღმდეგოდ).

სინტაქსში ჰიპოთეზებს ეწოდება **წესები**, ხოლო ჰიპოთეზათა ჯგუფს, რომელიც აღწერს ენის სინტაქსს – **გრამატიკა**.

ტერმინმა **გრამატიკა** შესაძლოა ზოგიერთი ჩვენგანი შეაშფოთოს, თუმცა იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს გრამატიკული წესების ჩამოყალიბების ორი გზა: ერთი – რომელიც ასწავლის ადამიანებს, როგორ უნდა ილაპარაკონ (ეს არის, რა თქმა უნდა, ინგლისურის მასწავლებლებისა და რედაქტორთა საქმეა); ესენია **პრესკრიფციული/ნორმატიული წესები** (ვინაიდან ისინი აკანონებენ, როგორ უნდა ვილაპარაკოთ სტანდარტის შესაბამისად). ასეთი წესების ზოგიერთი მაგალითია: „არასოდეს დაასრულო წინადადება წინდებულთ“, „გამოიყენე *whom* და არა *who*“ და „არ გახლიჩო ინფინიტივები“. ეს წესები გვეუბნება, როგორ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ენა. მეორე მიდგომაა, დაწეროთ ისეთი წესები, რომლებიც აღწერენ, თუ როგორ საუბრობენ ადამიანები რეალურად, მეტყველებენ თუ არა ისინი „სწორად“. ამათ ეწოდებათ **დესკრიფციული წესები**. განვიხილოთ მიდგომა, რომელსაც ამ წიგნში ვიყენებთ. საინტერესოა, რომელია ამ ორი ტიპიდან (აღწერითი/დესკრიფციული თუ პრესკრიფციული) უფრო მეცნიერული? რომელი წესი შეძლებს უკეთესად გაგვაგებინოს, თუ როგორ იყენებს გონება ენას? ჩვენ უფრო მეტად ფოკუსირებულნი ვართ დესკრიფციულ წესებზე. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ პრესკრიფციული წესები არაა მნიშვნელოვანი, მაგრამ, ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესობას დესკრიფციულ წესებს ვანიჭებთ.<sup>5</sup>

<sup>5</sup> პრესკრიფციული/დესკრიფციული საკითხების საინტერესო განხილვისათვის იხ. Pinker (1995): *The Language Instinct*.

### 3.1. სამეცნიერო მეთოდის ნიმუში, გამოყენებული სინტაქსში

მივუბრუნდეთ სამეცნიერო მეთოდის ფაქტობრივ გამოყენებას გარკვეული ენობრივი მასალის მიმართ. ქვემოთ წარმოდგენილი მასალა ეხება არსებითი სახელის სპეციალურ ფორმას, რომელსაც ეწოდება **ანაფორა**. ეს მოიცავს არსებით სახელებს, რომლებიც ბოლოვდება *-self* ბოლოსართით (მაგ., *himself, herself, itself*). მე-5 თავში მიმოხილული იქნება ეს ფენომენი უფრო დეტალურად, აქ კი მხოლოდ მის ერთ ზედაპირულ ასპექტს შევხებით. ქვემოთ მოცემულ წინადადებებში, სინტაქსური ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით, გრამატიკულად გაუმართავი წინადადება აღნიშნულია **ვარსკვლავით** (\*). მოცემულ წინადადებებში ვიგულისხმობთ, რომ ბილი მამრობითი სქესისაა, ხოლო სალი – მდედრობითი.

- 2)           a) Bill kissed himself.  
               b) \*Bill kissed herself.  
               c) Sally kissed herself.  
               d) \*Sally kissed himself.  
               e) \*Kiss himself.

გამოუცდელი თვალისთვის გრამატიკულად გაუმართავი წინადადებები (2b და d) სულელური ჩანს. ცხადია, ბილს არ შეუძლია აკოცოს *herself*-ს, რადგან იგი მამრობითი სქესისაა. თუმცა, რაც არ უნდა ცხადი იყოს, ეს წარმოადგენს უფრო დიდი განზოგადების ნაწილს ანაფორების განაწილების შესახებ. კერძოდ, (2) წინადადებების განზოგადებით, ანაფორა უნდა ეთანხმებოდეს **სქესში** იმ არსებით სახელს, რომელსაც იგი მიემართება (თავის **ანტეცედენტს**). ამგვარად, 2a-სა და b-ში ვხედავთ, რომ ანაფორა უნდა ეთანხმებოდეს სქესში **ბილს**, თავის ანტეცედენტს. ანაფორას უნდა ჰქონდეს მამრობითი ფორმა – *himself*. სიტუაცია ანალოგიურია 2c-სა და d-შიც; ანაფორამ უნდა მიიღოს ფორმა *herself*, რათა ის შეუთანხმდეს სქესში მდედრობით **სალის**. ასევე, წინადადება, როგორცაა 2e, გვიჩვენებს, რომ ანაფორას უნდა ჰქონდეს ანტეცედენტი: ანაფორა ანტეცედენტის გარეშე მიუღებელია. ამდენად, დამაჯერებელი ჰიპოთეზა (ან წესი) მოცემული (2)-ში, ფორმულირებულია (3)-ში:

- 3) ანაფორას უნდა (i) ჰქონდეს ანტეცედენტი და (ii) ეთანხმებოდეს სქესში (მამრობითი, მდედრობითი ან საშუალო) ანტეცედენტს.

მეცნიერული მეთოდოლოგიის შემდგომი ნაბიჯია ამ ჰიპოთეზის შემოწმება უფრო მეტ მასალაზე. განვიხილოთ (4)-ში წარმოდგენილი დამატებითი მონაცემები:

## LANGUAGE

- 4)
- a) The robot kissed itself.
  - b) She knocked herself on the head with a zucchini.
  - c) \*She knocked himself on the head with a zucchini.
  - d) The snake flattened itself against the rock.
  - e) ?The snake flattened himself/herself against the rock.
  - f) The Joneses think themselves the best family on the block.
  - g) \*The Joneses think himself the most wealthy guy on the block.
  - h) Gary and Kevin ran themselves into exhaustion.
  - i) \*Gary and Kevin ran himself into exhaustion.

წინადადებები (4a, b და c) აკმაყოფილებენ ზემოთ მოცემული ჰიპოთეზის მოთხოვნას, რომ ანაფორა უნდა შეუთანხმდეს სქესში თავის ანტიცედენტს, რაც, სულ მცირე, ადასტურებს, რომ ჰიპოთეზა სწორ გზაზეა. რაც შეეხება 4d და e წინადადებებს, ჩანს, რომ თითქოს ნებისმიერი სქესი უთავსდება ანტიცედენტს *the snake* „გველი“. ეს კი, როგორც ზედაპირულად ჩანს, ეწინააღმდეგება ჩვენს ჰიპოთეზას. მოდით, ჩავუღრმავდეთ ამ მაგალითებს: არის თუ არა 4e წინადადება გრამატიკულად სწორი, დამოკიდებულია თქვენს ვარაუდზე გველის სქესთან დაკავშირებით: თუ მიგაჩნიათ (ან იცით), რომ გველი მამრობითია, მაშინ *The snake flattened himself against the rock* სწორად არის ფორმირებული, მაგრამ იმავე შემთხვევისთვის *The snake flattend herself against the rock*-ზე უკვე უცნაურია, თუმცა, იგი სწორი იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ გველი მდედრობითი სქესისაა. ამგვარად, ჩანს, რომ ეს მაგალითიც აკმაყოფილებს (3)-ში მოცემულ განზოგადებას; როგორც წესი, აქ გაუგებრობას იწვევს ის, რომ ჩვენ იშვიათად ვართ დარწმუნებული გველის სქესში, და არა ის, თუ გრამატიკულად რამდენად სწორია წინადადების რეალური სტრუქტურა.

ახლა შევხედოთ წინადადებებს 4f - i; აღვნიშნოთ, რომ g და i წინადადებების არასწორი ფორმირება ჩვენი განზოგადებით ვერ განისაზღვრება. სინამდვილეში, ჩვენი განზოგადება გვეუბნება, რომ 4i წინადადება შესაძლოა იყოს გრამატიკულად სწორი, თუ *himself* ეთანხმება სქესში (მამრობით) მის ანტიცედენტებს Gary-სა და Kevin-ს. თუმცა, ცხადია, რაღაც არასწორია ამ წინადადებაში. ჰიპოთეზა საჭიროებს გადახედვას. როგორც ჩანს, ანაფორა უნდა უთანხმდებოდეს სქესსა და **რიცხვში** ანტიცედენტს. რიცხვი მიემართება ინდივიდთა რაოდენობას, რომელიც მოცემულია წინადადებაში. ინგლისურში განასხვავებენ მხოლოდობით და მრავლობით რიცხვს. ეს აისახება ჩვენ მიერ შესწორებულ (5) ჰიპოთეზაში:

5) ანაფორა უნდა შეუთანხმდეს სქესსა და რიცხვში თავის ანტეცედენტს.

თუ ანტეცედენტში მოცემულია ერთზე მეტი საგანი ან პიროვნება, მაშინ ანაფორა უნდა იყოს მრავლობით რიცხვში (ე.ი., themselves).

თუ შევამოწმებთ ამას უფრო დიდ მასალაზე, შეგვიძლია დავინახოთ, რომ ნაწილობრივ სწორი ვარაუდია 6a წინადადებაში, მაგრამ ვერ განისაზღვრება, რამდენად მისაღებია 6b-e წინადადებები:

- 6) a) People from Tucson think very highly of themselves.  
 b) \*I gave yourself the bucket of ice cream.  
 c) I gave myself the bucket of ice cream.  
 d) \*She hit myself with a hammer.  
 e) She hit herself with a hammer.

ე.ი. კიდევ უფრო მეტი გადამოწმებაა საჭირო. ის, რაც 6b-e-ში არის გამოხატული, უკავშირდება გრამატიკულ განსხვავებას **პირის** სხვადასხვა კატეგორიებს შორის. პირი ასახავს მოლაპარაკის პერსპექტივას სამეტყველო აქტის დანარჩენ მონაწილეებთან მიმართებაში. **პირველი პირი** მიემართება მოლაპარაკეს; **მეორე პირი** – ადრესატს; **მესამე პირი** კი მიემართება პირებს, რომელთა შესახებ ლაპარაკობენ და რომლებიც არ არიან მეტყველების აქტის უშუალო მონაწილენი. ქვემოთ მოცემულია თითოეულ პირთან დაკავშირებული ინგლისური პირის ნაცვალსახელები (**ნომინატივი** არის **ბრუნვის** ფორმას, რომელსაც პირის ნაცვალსახელი იღებს, როდესაც ის სუბიექტია, როგორცაა / წინადადებაში / love peanut butter; **აკუზატივი** არის ფორმა, რომელსაც იღებს, როდესაც ის ობიექტის პოზიციაშია, როგორცაა *me* წინადადებაში *John loves me*):

7)

	Nominative		Accusative		Anaphoric	
	Singular	Plural	Singular	Plural	Singular	Plural
1	I	we	me	us	myself	ourselves
2	you	you	you	you	yourself	yourselves
3 masc	he	they	him	them	himself	themselves
3 fem	she		her		herself	
3 neut	it		it		itself	

ამ ცხრილიდან ვხედავთ, რომ ანაფორის ფორმა, როგორც ჩანს, ასევე უთანხმდება პირში თავის ანტეცედენტს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია კიდევ ერთხელ შევასწოროთ ჩვენი ჰიპოთეზა (წესი):

## LANGUAGE

8) ანაფორა უნდა შეუთანხმდეს პირში, სქესსა და რიცხვში თავის ანტეცედენტს.

ამ ჰიპოთეზის თანახმად, უკვე გვაქვს ამ ტიპის არსებით სახელთა განაწილების ცალსახა წესი, რომელიც მივიღეთ სამეცნიერო მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ წარმოდგენილ პრობლემათა კონტექსტში, და ასევე მე-6 თავში, შესაძლებლობა მოგეცემათ გადაამოწმოთ ეს (8) წესი უფრო ვრცელ მასალაზე.

### 3.2 მონაცემთა წყაროები

როცა სინტაქსის მეცნიერულ მეთოდებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ჩვენი მონაცემების წყაროები. ერთ-ერთი წყარო ამჟამად არის წერილობითი და ზეპირი ტექსტების კოლექციები. ასეთ მონაცემებს **კორპუსები** ეწოდება. არსებობს ბევრი კორპუსი, ზოგიერთი მათგანი ინტერნეტითაც იძებნება. ისეთი ენის შემთხვევაში, რომელსაც არა აქვს ლიტერატურული ტრადიცია, ანდა რომელზეც ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფი საუბრობს, ენათმეცნიერი იძულებულია, წავიდეს, ადგილზე შეაგროვოს საჭირო მასალა და შეადგინოს კორპუსი. გასული საუკუნის ადრეულ წლებში ენათმეცნიერები უპირველესად ამით იყვნენ დაკავებულნი და დღესაც კი ბევრი მკვლევარი სიამაყით ასრულებს ამ სამუშაოს.

ენათმეცნიერი ჰაიდი ჰარლი (Heidi Harley) თავის ბლოგში<sup>6</sup> აღწერს, თუ როგორ გამოიყენა საძიებო საშუალებები ლინგვისტური ანალიზისთვის. იგი აღნიშნავს, რომ მისი ყურისთვის გამოთქმა *half full of something* უღერს ბუნებრივად, მაგრამ *half empty of something* – არა. იგი ადარებს *half empty* vs. *half full*-ს და *half empty of* vs. *half full of*-ს და აღმოაჩენს, რომ *half full*-ის შეფარდება *half empty*-სთან, *of*-ის გარეშე, არის დაახლოებით 1:1; ხოლო *half full of*-ის შეფარდება *half empty of*-თან – დაახლოებით 149:1. ეს გასაოცარი სხვაობაა. ჰარლიმ შეძლო გამოეყენებინა ვებ-გვერდი, რათა ეჩვენებინა, რომ ასეთი ოდნავ შესამჩნევი განსხვავებები გამოსახულებებს შორის აისახება მოცემულ გამოსახულებათა გამოყენების სიხშირეებში.

მაგრამ კორპუსული ძიებები ყოველთვის არ არის ადეკვატური იმისათვის, რომ მოვიძიოთ ინფორმაცია, რომელიც სინტაქსის სპეციალისტებს სჭირდებათ. უმეტესწილად, კორპუსები შეიცავს მხოლოდ გრამატიკულად სწორ წინადადებებს. მაგრამ, ზოგჯერ ყველაზე მკაფიო ინფორმაციას იძლევა ჩვენი ცოდნა იმის შესახებ, რომ ცალკეული წინადადება არაგრამატიკულია (ე.ი. არაა ჩვეულებრივი

6 <http://heideas.blogspot.com/2005/10/scalar-adjectives-with-arguments.html>.



ინგლისურის წინადადება), ან რომ ორი მსგავსი წინადადება შინაარსობრივად ძალიან განსხვავებულია. დასაწყისისთვის განვიხილოთ წინადადებათა შემდეგი წყვილი (9):

- 9)           a) Doug blew the building up.  
              b) Doug blew up the building.

ინგლისური ენის ყველა მატარებელი დაგვეთანხმება, რომ ორივე მათგანი სწორია, თუმცა უპირატესობას მიანიჭებს 9b-ს. მათ, ასევე, იცინან, რომ პირველი წინადადების მნიშვნელობა ცალსახაა, ხოლო მეორეს აქვს ორი მნიშვნელობა (*He destroyed the building using explosives vs. he blew really hard with his lungs up the stairwell*). მართალია, მეორე ნაწილი ცოტა სულელურია, მაგრამ წინადადების ამგვარი ინტერპრეტაცია სავსებით ლეგიტიმურია.

(9)-ის წინადადებები შევუდაროთ (10)-ის მსგავს წყვილს. ამ ფორმებში სიტყვა *the building* ჩანაცვლებულია ნაცვალსახელით *it*:

- 10)           a) Doug blew it up.  
              b) Doug blew up it.

აქ აღმოვაჩინთ ინტერპრეტაციის განსხვავებულ მოდელს. 10a არის ისეთივე ცალსახა, როგორც 9a, ის მიემართება აფეთქების მოქმედებას და შეუძლებელია ჰქონდეს მნიშვნელობა, რომ დოუგი თავად, თავისი ფილტვებით უბერავდა ძლიერ რაღაცას (*Doug was blowing hard with his lungs up something*). წინადადება 10b კი სიურპრიზია. 9b-სგან განსხვავებით, 10b-ს არ შეიძლება რაიმე საერთო ჰქონდეს აფეთქებასთან. მისი ინტერპრეტაცია შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რომ დოუგი უბერავდა ჰაერს მას (რაღაცას), რაც არ უნდა იყოს ეს „მას“ (“it”). გავიხსენოთ, რომ (9)-ში წაკითხვა, რომელიც ჰაერის შებერვას გულისხმობდა, სულელური ან უცნაური იყო, თუმცა პირის ნაცვალსახელთან ეს ერთადერთი შესაძლო ინტერპრეტაციაა.

მიუხედავად იმისა, რომ კორპუსები უდავოდ მონაცემთა ღირებულ წყაროს წარმოადგენენ, ისინი მაინც მხოლოდ ნაწილობრივ გვიქმნიან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩვენს გონებაში. უფრო კონკრეტულად, კორპუსები ხშირად შეიცავენ მხოლოდ მისაღებ (ან, უფრო ზუსტად, გრამატიკულად სწორ) წინადადებებს (წინადადებები, რომლებიც კარგად („ok“) ჟღერენ ენის მატარებლისთვის). მაგალითად, *ნიუ-იორკ ტაიმსის* ონლაინ გამოცემა შეიცავს ძალიან ცოტა არაგრამატიკულ წინადადებას. ბუნებრივი მეტყველების კორპუსიც

## LANGUAGE

კი, სავსე იმ შეცდომებით, რომელთაც ყველა მოლაპარაკე უშვებს, ნამდვილად არ შეიცავს იმ მასალას, რომელიც გვჭირდება ჩვენი ჰიპოთეზების დასაზუსტებლად. ასე რომ, კორპუსები უბრალოდ არასაკმარისია: არავინ იცის, კორპუსი შეიცავს თუ არა გრამატიკული წინადადებების ყველა შესაძლო ფორმას. სინამდვილეში, ენის პროდუქტიული ბუნებიდან გამომდინარე, კორპუსი ვერასოდეს მოიცავს ენის ყველა გრამატიკულ ფორმას, თუნდაც ტიპობრივ, სანიმუშო მაგალითებსაც კი. იმისათვის, რომ გავერკვეთ, რა ვიცით ჩვენი ენის შესახებ (გახსოვდეთ, სინტაქსი კოგნიტიური მეცნიერებაა), საჭიროა ვიცოდეთ, როგორი წინადადებები არ მიიჩნევა გრამატიკულად სწორად. ეს ნიშნავს, რომ იმისათვის, რომ ვიცოდეთ ინგლისურის, იტალიურის ან იგბოს დასაშვები წინადადებების დიაპაზონი, თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორი წინადადებები არ არის დასაშვები ინგლისურში, იტალიურში ან იგბოში. ასეთი სახის უარყოფითი ინფორმაცია ძალზე იშვიათად გვხვდება კორპუსებში, რომლებიც, ძირითადად, გვანვდიან გრამატიკულად სწორ და კარგად აგებულ წინადადებებს.

განვიხილოთ შემდეგი წინადადება:

11) \*Who do you wonder what bought?

ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა უმრავლესობისათვის მოცემული წინადადება არაა გამართული. საიდან ვიცით ეს? ოდესმე სკოლაში უსწავლებიათ, რომ არ შეიძლება თქვა (11)-ის მსგავსი წინადადება? ოდესმე წარმოუთქვამთ ეს წინადადება აქამდე თქვენი თანდასწრებით? ეჭვი მეპარება. ის, რომ (11)-ის მსგავსი წინადადება ყლერს უცნაურად, ხოლო (12a და b)-ის მსგავსი წინადადებები მისაღებია, არსადაა ასახული კორპუსში:

12) a) Who do you think bought the bread machine?

b) I wonder what Fiona bought.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ჩვენი მშობლიური ენის ცოდნას (ან იმ ენაზე მოლაპარაკე კონსულტანტის ცოდნას, რომელზეც ჩვენ ვერ ვლაპარაკობთ). აღსანიშნავია, რომ ეს არაა გაცნობიერებული ცოდნა. ეჭვი მეპარება, ინგლისური ენის ბევრი მატარებელი აღმოჩნდეს, რომელიც შეძლებს გითხრათ, თუ რატომ არის (11) წინადადება საშინელი, მაგრამ უმეტესობა გეტყვით, რომ ის საშინელია. ესაა ქვეცნობიერი ცოდნა. ამ ქვეცნობიერი ცოდნის აღწერაა საინტერესო.

ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს, რომელიც გამოიყენება ამ ქვეცნობიერი ცოდნის ამოსატანად, ეწოდება **გრამატიკული განსჯის ამოცანა (grammaticality judgment**

**task**). იგი გულისხმობს შემდეგს: მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეს აკითხებენ წინადადებას. მან უნდა განსაჯოს, ეს წინადადება კარგად ფორმირებულია (გრამატიკულია), კარგად ფორმირების ზღვარზეა თუ ცუდად ფორმირებულია (მიუღებელი ან არაგრამატიკულია).

არსებობს განსხვავებული სახეები გრამატიკული განსჯისა. მაგალითად, ქვემოთ მოცემული ორი წინადადიდან ორივე ცუდადაა აგებული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით:

- 13) a) #The toothbrush is pregnant.  
b) \*Toothbrush the is blue.

(13a) წინადადება ანომალიურად უღერს (შდრ. *the toothbrush is blue*), რადგან ვიცით, რომ კბილის ჯაგრისი (გარდა ფანტასტიკური ლიტერატურისა ან პოეზიისა) ვერ იქნება ორსულად. წინადადების მნიშვნელობა უცნაურია, თუმცა ფორმა სწორია. ჩვენ ამას ვუნოდებთ **ცუდ სემანტიკურ ფორმირებას (semantic ill-formedness)** და აღვნიშნავთ #-ით. ამის საწინააღმდეგოდ, ჩვენ შეგვიძლია (13b) წინადადების მნიშვნელობის გაგება; ის სემანტიკურად მისაღები ჩანს (კბილის ჯაგრისი შეიძლება იყოს ლურჯი), მაგრამ სტრუქტურული თვალსაზრისით ცუდადაა აგებული. ანუ, განსაზღვრული არტიკლი *the* არასწორ ადგილასაა წინადადებაში. სწორედ ამას ჰქვია **სინტაქსურად ცუდად აგებული** წინადადება. ინგლისური ენის მოლაპარაკე ორივე ამ წინადადებას შეაფასებს როგორც ცუდად აგებულს, ოღონდ სრულიად განსხვავებული მიზეზების გამო.

### 3.3 კომპეტენცია vs. პერფორმანსი

მსგავსი საკითხი ეხება გრამატიკულად მიუღებელ ფორმებს, მაგალითად, როგორიცაა (14). ინგლისურ ენაზე მოლაპარაკემ, რომლისთვისაც ინგლისური მშობლიურია, რამდენჯერმე უნდა წაიკითხოს ეს წინადადება, აზრი რომ გამოიტანოს.

- 14) # Cotton shirts are made from comes from India.

ასეთი ტიპის წინადადება (რომელსაც ეწოდება **garden path sentence**) ძალიან რთულია გასაგებად და საანალიზოდ. ამ მაგალითში პრობლემა ისაა, რომ მოსალოდნელ-სასურველ წაკითხვაში *cotton* არის არსებითი სახელი, რომელიც მოდიფიცირებულია რედუცირებული განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით: *(that) shirts are made from*. წრფივი მიმდევრობა – *cotton*-ს რომ

## LANGUAGE

მოსდევს *shirt* – ქმნის ბუნდოვან ფრაზას: *cotton shirt*. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი ტიპის დამოკიდებული წინადადების სტრუქტურა სხვა კონტექსტში მისაღებია; შევადაროთ: *That material is the cotton shirts are made from*. მე-14-ის მსგავსი წინადადების გაგება ბევრად მარტივია, თუ მას წავიკითხავთ მკვეთრად გამოხატული პაუზებით (... ნიშნავს პაუზას): *Cotton ... shirts are made from ... comes from India*, ან *that*-ის ჩამატებით, რაც დაყოფს პოტენციურად ორბზროვან *cotton shirts* მიმდევრობას: *The cotton that shirts are made from comes from India*. ასეთი ტიპის (*garden path*) წინადადების ნაკლი ის არის, რომ, როდესაც ნაგულისხმევ შინაარსს გაიგებს, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკემ შეიძლება გააიგივოს იგი გრამატიკულ წინადადებებთან, ან თუნდაც ისეთ წინადადებებთან, რომლებსაც თითქოს მსგავსი სტრუქტურები აქვთ, თუმცა არიან განსხვავებულნი და გრამატიკულად სწორი. მაგრამ ჩვენთვის, როგორც ლინგვისტებისთვის, პრობლემა ისაა, რომ მშობლიურ ენაზე მოსაუბრემ შეიძლება ძალიან ძნელად აღიქვას მოცემული წინადადებების მნიშვნელობა წაკითხვის პირველ რამდენიმე ჯერზე.

მსგავსი სიტუაცია წარმოიქმნება, როდესაც გვაქვს მართლაც გრძელი წინადადებები რთული სინტაქსური კავშირებით. შევხედოთ (15)-ს. მისი პირველი წაკითხვა შეაშფოთებს ინგლისურად საშუალო დონის მოლაპარაკეს. მაგრამ თუ მას რამდენჯერმე წავიკითხავთ, ნათელი გახდება მისი შინაარსი. სინამდვილეში, წინადადება გრამატიკულად გამართული ჩანს.

15) Who did Bill say Frank claimed that Mary seems to have been likely to have kissed?

მიზეზი, რატომაც ეს წინადადება ძნელად გასაგებია, არის ის, რომ კითხვითი სიტყვა *who* ძალიან შორსაა იმ ადგილიდან, სადაც ის მისი ინტერპრეტირება უნდა მოხდეს (როგორც ობიექტი *kiss* ზმნისა), და, ამასთანავე, ამ ორ წერტილს შორის განთავსებული მონაკვეთიც საკმაოდ რთული სტრუქტურისაა. მაგრამ როგორც კი ჩავუღრმავდებით, დავინახავთ, რომ ის, როგორც წინადადება, უკვე მისაღები ხდება. ამგვარი ეფექტის ყველაზე ცნობილ მაგალითს ჰქვია **ცენტრის ჩასმა (center embedding)**. ინგლისურ წინადადებაში, მართალია, ხშირად არ ვხვდებით ჩართულ დამოკიდებულ წინადადებებს სუბიექტსა და ზმნას შორის და, ამდენად, (16) მაგალითი, რომელიც ცოტათი გაუშალაშინებელია, მაინც კარგ წინადადებად ითვლება ინგლისურად მოლაპარაკეთა უმეტესობისთვის. მაგალითად, ჩვენ გვაქვს ცოტა ისეთი ყველი, როგორც თავგებს უყვართ, და ის ყარს (We have some

cheese, the kind that mice love, and it stinks.). თუ გიჭირთ ქვემოთ მოცემული წინადადების გაგება, გააკეთეთ გრძელი პაუზები *cheese*-ის შემდეგ და *stinks*-ის წინ.

16) Cheese mice love stinks.

თუმცა, ვერანაირი პაუზა ვერ გამოასწორებს წინადადებას, სადაც მეორე შეკვეცილი დამოკიდებული წინადადება მოთავსებულია *mice*-ის შემდეგ, იმ მნიშვნელობით, რომ ყველი, რომელიც უყვართ თავგებს, რომელთაც იჭერენ კატები, ყარს.

17) #Cheese mice cats catch love stinks.

ამ წინადადების ინტერპრეტაცია ფაქტობრივად შეუძლებელია ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთათვის. ჩომსკი (1965) ამტკიცებდა, რომ ამ წინადადებაში გრამატიკა არ ქმნის პრობლემას (რამდენადაც ინგლისურის გრამატიკა უშვებს შეკვეცილ დამოკიდებულ წინადადებებს სუბიექტის შემდეგ და ზმნის წინ), პრობლემა არის ის, რომ შეზღუდულია ჩვენი ხანმოკლე მეხსიერება<sup>7</sup> ან ასევე შეზღუდულია ჩვენი გონებრივი შესაძლებლობა დაყოს ნაწილებად წინადადებები მაშინ, როცა მათ ვისმენთ. ინგლისური სინტაქსური ანალიზის **დაშლა-დანაწევრების (parsing)** სისტემა წარმოადგენს სისტემას, რომელიც წინადადებას შლის ნაწილებად და იგი გარკვეულწილად შემოსაზღვრულია, მისი საზღვრები არ ემთხვევა გრამატიკულობის განმსაზღვრელ საზღვრებს. ინგლისური ენის მატარებელთათვის (14), (15) და (16) წინადადებები მიუღებელია თვისებრივად განსხვავებულად, ვიდრე წინადადება (13).

განსხვავება, რომელიც ჩვენ დავინახეთ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში, ცნობილია როგორც **კომპეტენცია/პერფორმანსის (competence/performance)** განსხვავება. როდესაც ვლაპარაკობთ ან ვუსმენთ, ამ აქტით ენის გარკვეულ ფრაგმენტის წარმოვქმნით. ეს პერფორმანსი შეიძლება შეწყდეს სხვადასხვა სახის გარეგანი ფაქტორით, მაგალითად, ჩვენ გუნება შეგვეცვალოს ან მოვიწყინოთ, დავახველოთ ან გაურკვევლად წარმოვთქვათ სიტყვები, დაგვაინწყდეს, რა გავიგეთ მანამდე, ან, შესაძლოა, ჩავლილი ავტობუსის ხმაურის გამო ვერ გავიგონოთ მნიშვნელოვანი სიტყვა. **პერფორმანსი** ფაქტობრივად არის ის ენა, რომელიც არის წარმოთქმული ან გაგონილი. **კომპეტენცია**, პირიქით,

7 ხანმოკლე (მუშა) მეხსიერების ჰიპოთეზა საეჭვოა, რამდენადაც მოლაპარაკებებს ისეთ ენებზე, როგორებიცაა, მაგალითად, იაპონური და გერმანული, შეუძლიათ უპრობლემოდ გაიგონ მსგავსი წინადადებები თავიანთ ენებზე.

## LANGUAGE

მიემართება იმას, რაც ვიცით ჩვენი ენის შესახებ; მასზე არ ზემოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი, რამაც შეიძლება აამღვრიოს პერფორმანსის წყალი. გაიხსენეთ მართლაცდა გრძელი და კომპლექსური მე-(15) წინადადება გაგება. ამ წინადადების თავდაპირველი მიუღებლობა გამონვეული იყო პერფორმანსის პრობლემით. მაგრამ, როდესაც დაფიქრდით და დააკვირდით, დაინახეთ, რომ ის იყო ჩვეულებრივი გრამატიკულად გამართული ინგლისური წინადადება – უბრალოდ მართლაცდა რთული. როდესაც ეს გააკეთეთ, თქვენ ჩანვდით ინგლისური ენის გრამატიკაში თქვენს კომპეტენციას (ანუ ცოდნას).

ყოველივე ამას მივყავართ ახალ საკითხთან. ყურადღებით მოუსმინეთ, როდესაც ვილაც ლაპარაკობს (ეს არ გულისხმობს ლექციას ან ხმამაღლა კითხვას, არამედ მართლა ლაპარაკს, როდესაც ვილაც მართლა ესაუბრება ვილაცას). აუცილებლად შენიშნავთ, რომ არც ერთი მათგანი არ საუბრობს გრამატიკული წინადადებებით. ისინი ტოვებენ რალაცებს და ფრაგმენტულად ლაპარაკობენ. ისინი იწყებენ და წყვეტენ ერთსა და იმავე წინადადებას რამდენჯერმე. ყველა ასე იქცევა, ყველაზე მჭევრმეტყველიც კი. ამრიგად, უმეტესი ნაწილი იმისა, რაც გვესმის (ან ვხედავთ სალაპარაკო ენის კორპუსებში) „არაგრამატიკული“ ფორმებისგან შედგება. თუმცა, თუ თქვენ ინგლისური ენის მატარებელი ხართ, შეგიძლიათ განსაჯოთ, ეს წინადადება მისაღებია თუ არა. ეს ორი რამ, სასაუბრო ენის გაგება და წინადადების სისწორეზე მსჯელობა, სხვადასხვა უნარია და მიემართება, უხეშად, პერფორმანსსა და კომპეტენციას.

ანალოგია, რომელმაც შეიძლება ასეთ განსხვავებას ნათელი მოჰფინოს, შემდეგში მდგომარეობს: წარმოიდგინეთ, რომ ხართ პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერი და წერთ კომპიუტერულ კოდს. თავდაპირველად ამუშავებთ ამ კოდს საკუთარ კომპიუტერზე და ის კარგად მუშაობს. კომპიუტერული კოდის შექმნა ძირითადი კომპეტენციის ერთგვარი პერფორმანსია. შემდეგ თქვენ მას ცდით თქვენი პატარა დის ძველ პერსონალურ კომპიუტერზე. აღმოჩნდება, რომ პროგრამა არ მუშაობს ისე, როგორც მოელოდით - ის ძალზე ნელია, იჭედება, გამუდმებით ამუშავებს ქულერს და ახურებს პროცესორს. თქვენ ბრუნდებით უკან და ამოწმებთ კოდს. კოდში შეცდომა არაა და კომპიუტერული ენის ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ამრიგად, კომპეტენციის თვალსაზრისით, ყველაფერი რიგზეა. რეალურად პრობლემა არის არა კოდში, არამედ იმ მანქანაში, რომელზეც მას იყენებთ. პროცესორი ძალიან ძველია, არა აქვს საკმარისი მეხსიერება და თქვენ გაქვთ კომპიუტერი, რომელიც მიდრეკილია გადახურებისკენ. ეს ყველაფერი პერფორმანსის პრობლემაა.

და რას ნიშნავს ყოველივე ეს ლინგვისტიკისთვის, რომელიც იყენებს გრამატიკულობის განსჯას როგორც სინტაქსის კვლევის საშუალებას? ეს ნიშნავს, როდესაც განსჯას ემყარებით, ნათლად უნდა ჩამოაყალიბოთ, რა განსაზღვრავს იმას, კონკრეტული წინადადება მისაღებია თუ მიუღებელი. წინადადება მისაღებია მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ ინფორმაციის დიდი ნაწილი კონტექსტის მიხედვით გაიგეთ (ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ეს მივიჩნიოთ პერფორმანსის ეფექტად)? თუ მოსმენილ წინადადებას თვლით მიუღებლად იმიტომ, რომ მოსაუბრე ძალიან სწრაფად ლაპარაკობდა და ტოვებდა ზოგიერთ სიტყვას, ან იმის გამო, რომ წინადადება არ იყო ინგლისური გრამატიკის მიხედვით გამართული? ეს განსხვავებები ძალიან ფაქიზია – ეს არის ის საკითხი, რაზედაც სინტაქსის სპეციალისტებმა დიდად უნდა გაამახვილონ ყურადღება მუშაობის პროცესში.

#### 4. საიდან მოდის წესები?

ზემოთ ჩვენ ვსაუბრობდით სინტაქსური წესების ქვეცნობიერ ცოდნაზე, მაგრამ არ შევხებივართ იმას, თუ საიდან ვიღებთ ამ ცოდნას. ეს ერთგვარად მომიჯნავე საკითხია, მაგრამ მან შესაძლოა იმოქმედოს ჩვენი თეორიის ფორმაზე. თუ ჩვენ ვიცით, როგორ ითვისებენ ბავშვები თავიანთ წესებს, მაშინ უკეთეს პოზიციაში ვართ საიმისოდ, რომ შევძლოთ მათი სწორი ფორმულირება. ის, თუ როგორ ივითარებენ ბავშვები ენის ცოდნას, არის კოგნიტიური მეცნიერების მნიშვნელოვანი საკითხი. გენერატიული გრამატიკის თეორია აკეთებს რამდენიმე სპეციფიკურ/კონკრეტულ (და ძალზე გასაოცარ) განაცხადს ამის შესახებ.

##### 4.1 სწავლა vs. ათვისება (*learning vs. acquisition*)

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არასწორი შეხედულება ენის შესახებ არის ის აზრი, რომ ბავშვები და მოზარდები „სწავლობენ“ ენას. გავიხსენოთ, რომ ძირითადი ცოდნა, რომელზეც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, არის ქვეცნობიერი ცოდნა. როდესაც წინადადებას ადგენთ, არ აცნობიერებთ, არ ფიქრობთ, თუ სად დასვათ ქვემდებარე, სად – ზმნა და სხვ. თქვენი ქვეცნობიერი ენა ასრულებს ამ პროცესს თქვენთვის. კოგნიტიური მეცნიერებისთვის განსხვავებული პროცესებია გაცნობიერებული ცოდნის შექმნა და გაუცნობიერებელი ცოდნის წვდომა. გაცნობიერებული ცოდნა (როგორცაა ალგებრის წესები, სინტაქსური თეორია, ორგანული ქიმიის საფუძვლები ან როგორ დავშალოთ კარბურატორი) არის **ნასწავლი**. ხოლო გაუცნობიერებელი ცოდნა, როგორცაა, მაგალითად, ლაპარაკი ან

## LANGUAGE

ცალკეული საგნის ვიზუალური იდენტიფიკაციის შესაძლებლობა, არის **შექნილი-ათვისებული**. ნაწილობრივ, ეს ხსნის, თუ რატომ არის ხშირად ჩავარდნა უცხო ენის ფორმალური გრამატიკის კლასებში, როდესაც გვინდა ადამიანებს ამ ენაზე ლაპარაკი ვასწავლოთ. საპირისპიროდ, იმ გარემოში მოხვედრა, სადაც შეგიძლია ქვეცნობიერად დაეუფლო ენას, ბევრად უფრო ეფექტურია. აქ ჩვენ უპირატესად გვინტერესებს, თუ როგორ ითვისებენ ადამიანები თავიანთი ენის წესებს. თუმცა, გრამატიკის ყველა წესი შექნილი არაა. ზოგიერთი ფაქტი ენის შესახებ თითქოს თავისთავად მოცემულია ჩვენს გონებაში, ანუ **თანდაყოლილია**.

### 4.2 თანდაყოლილობა: ენა როგორც ინსტინქტი

თუ დაფიქრდებით ცოდნის სხვა ტიპებზე, რომლებიც გაუცნობიერებელია, დაინახავთ, რომ ბევრი მათგანი (მაგალითად, სიარულის შესაძლებლობა) პირდაპირ ჩვენს გონებაშია ჩადებული – ეს არის ინსტინქტები. არ იყო საჭირო ვინმეს ესწავლებინა თქვენთვის, თუ როგორ უნდა იაროთ (მიუხედავად იმისა, რას ფიქრობენ ამაზე თქვენი მშობლები!). ბავშვები სიარულს თვითონ იწყებენ. სიარული არის ინსტინქტი. ნოამ ჩომსკის, ალბათ, ყველაზე მეტად წინააღმდეგობრივი აზრი სწორედ ისაა, რომ ენაც ინსტინქტია. ენის დიდი ნაწილი წინასწარ მოცემულია, ანუ **თანდაყოლილია**. ენის დიდი ნაწილი არის უნარი, ჩვენს გონებაში ღრმად ჩაქსოვილი ჩვენს გენებით. აგებული მჭიდროდ დაკავშირებული ქსელებით (hard-wired).

ცხადია, ცალკეული კონკრეტული ენა არაა თანდაყოლილი. არ არსებობს შემთხვევა, რომ, მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში გაზრდილი ბავშვი – სლოვაკი მშობლების შვილი, რომელსაც სლოვაკურად არასდროს დალაპარაკებია, ალაპარაკდეს სლოვაკურად. ის ილაპარაკებს ინგლისურად (ან რა ენაზეც ლაპარაკობენ მის ირგვლივ). ამრიგად, ზედაპირულად, უცნაური ჩანს განვაცხადოთ, რომ ენა არის ინსტინქტი, თუმცა ბევრი კარგი მიზეზი არსებობს იმაში დასარწმუნებლად, რომ ადამიანის ენობრივი შესაძლებლობები (ალბათ, ტვინში „ენის ორგანოს“ ფორმით) თანდაყოლილია. ჩვენ ამ შესაძლებლობებს ვუწოდებთ **უნივერსალურ გრამატიკას (Universal Grammar ანუ UG)**.

### 4.3 ენის დაუფლების ლოგიკური პრობლემა

ქვემოთ მოხმობილი მასალა არის თითქმის ტექნიკური მტკიცებულება, ყოველ შემთხვევაში, დამაჯერებლად ორგანიზებული, რომ ენა არის თანდაყოლილი, თავიდანვე მოცემული სისტემა.



ამ თავში წარმოდგენილი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ ისეთი პროდუქტიული სისტემის, როგორცაა ენის წესები, შესწავლა ან ათვისება, სავარაუდოდ, შეუძლებელია. უსასრულო სისტემები, პრინციპში, გარკვეული ვარაუდების გათვალისწინებით, არის ისეთი სისტემები, რომელთაც ვერ ისწავლი და ვერც ათვისებ. რამდენადაც ჩვენ ყველას გვაქვს ასეთი უსასრულო სისტემები ჩვენს გონებაში, მათი ათვისება არც არის საჭირო. აქედან გამომდინარეობს, რომ იგი თავიდანვე არის მოცემული. აქ წარმოდგენილი არგუმენტი დაფუძნებულია ალექს მარანცის (Alec Marantz) გამოუქვეყნებელ სტატიაზე, მაგრამ ემყარება არგუმენტს, რომელიც, საბოლოო ჯამში, ჩომსკიდან (1965) გამომდინარეობს.

თავდაპირველად წარმოგიდგენთ მტკიცებულების მონახაზს, რომელიც, გამომდინარეობის წესის საფუძველზე (*modus ponens*), არგუმენტირების კლასიკურ ფორმას იღებს:

*წანამძღვარი (i):* სინტაქსი არის პროდუქტიული, რეკურსიული და უსასრულო სისტემა.

*წანამძღვარი (ii):* წესებით მართული უსასრულო სისტემები არაა შესწავლადი.

-----  
*დანასკვი:* მაშასადამე, სინტაქსი არის შეუსწავლადი სისტემა, მაგრამ რამდენადაც ჩვენ სინტაქსი გვაქვს, ე.ი. სინტაქსის რაღაც ნაწილები მაინც არის თანდაყოლილი.

წარმოდგენილი არგუმენტის გარკვეული ფრაგმენტები მეტად წინააღმდეგობრივია. ამ თავის ბოლოს წარმოდგენილია პრობლემათა რამდენიმე სიმრავლე და მოგიწოდებთ კრიტიკული თვალის შეხედვით მტკიცებულების ამ ფორმას. აქ, ტექსტის ძირითად ნაწილში, წარმოგიდგენთ მოცემული წანამძღვრების მხარდასაჭერ კლასიკურ ვერსიებს, კრიტიკის გარეშე.

მოდით, დავიწყოთ (i) წანამძღვრით. ენა პროდუქტიული სისტემაა, რაც ნიშნავს, რომ შეგიძლიათ აწარმოოთ და გაიგოთ წინადადებები, რომლებიც აქამდე არ გაგიგონიათ. მაგალითად, პრაქტიკულად შემოიძლია მოგცეთ გარანტია, რომ აქამდე არ გაგიგონიათ შემდეგი წინადადება:

18) The dancing chorus-line of elephants broke my television set.

სინტაქსის მაგიურობა სწორედ ისაა, რომ მას შეუძლია იმ ფორმათა გენერირება, რომლებიც ადრე არ ყოფილა წარმოებულნი. ამ პროდუქტიული თვისებრიობის

## LANGUAGE

კიდევ ერთ მაგალითს ეწოდება რეკურსია (*recursion*). შესაძლოა წარმოითქვას ასეთი წინადადებაც (19):

19) Rosie loves magazine ads.

ასევე, შესაძლებელია ეს წინადადება ჩავსვათ მეორე წინადადების შიგნით, როგორცაა (20):

20) I think [Rosie loves magazine ads].

მსგავსადვე, შეგვიძლია ეს უფრო გრძელი წინადადება ჩავსვათ კიდევ სხვაში:

21) Drew believes [I think [Rosie loves magazine ads]].

და, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ეს უფრო დიდი წინადადებაც ჩავსვათ სხვა წინადადებაში:

22) Dana doubts that [Drew believes [I think [Rosie loves magazine ads]]].

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ უსასრულოდ. ვრცელი წინადადების შიგნით ყოველთვის შეგვიძლია ჩავსვათ სხვა წინადადება; ეს ნიშნავს, რომ ენა პროდუქტიული (შესაძლოა, უსასრულო) სისტემაა. არ არსებობს შეზღუდვები, რომლებზეც შეგვიძლია ვილაპარაკოთ. სინტაქსის პროდუქტიულობის სხვა მაგალითებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ შესაძლებელია უსასრულოდ გავიმეოროთ ზმნიზედები (23), და, ასევე, უსასრულოდ შეგვიძლია დავუმატოთ კოორდინირებული არსებითი სახელები სახელურ ფრაზებს (24):

- 23) a) a very big peanut  
b) a very very big peanut  
c) a very very very big peanut  
d) a very very very very big peanut

და სხვ.

- 24) a) Dave left  
b) Dave and Alina left  
c) Dave, Dan, and Alina left  
d) Dave, Dan, Erin, and Alina left  
e) Dave, Dan, Erin, Jaime, and Alina left


და სხვ.

ეს მოწმობს იმას, რომ ერთი ინგლისური წინადადება შეიძლება გადავაქციოთ უფრო ვრცელ წინადადებად (რეკურსიის რომელიმე წესზე დაყრდნობით,

ზედსართავის გამეორებით ან კოორდინაციით). ეს კი ნიშნავს, რომ ენა არის, სულ მცირე, თვლადად უსასრულო. ეს წანამძღვარი შედარებით არანინაალმდეგობრივია.

*English learning method:* academic

*English residence:* USA

*length of English residence:* 13 years

[p<sup>h</sup>lɪs k<sup>h</sup>əl stɛlə æsk hɛɪ tu bʌŋ ðɪz  
θɪŋz fɪlɪm hɛɪ? f wɪθ hɛɪ fɪlɪm ðə  
stɑɪ sɪks spʊns əf fɪɛf snou pɪs  
færɪ θɪk slæʃs əv blʌ tʃɪz æn mɛɪbɪ  
ɛ snæk<sup>ʔ</sup> fəɪ hɛɪ bɪlðɛɪ bɑ:ʃ vɪ  
ɑl<sup>v</sup>sɔ̃ nid ə sməl plæstɪk sneɪk ən ə  
brɪg t<sup>h</sup>ɔɪ fɪəg<sup>ʔ</sup> fəɪ ðə kɪɟs ʃɪ kæn  
skʌp<sup>ʔ</sup> ðɪz θɪŋz ɪntu θɪɪ jɛd bægs ɛn  
wɪ wɪl<sup>v</sup> ɡou mɪt hɛɪ wə? wɛnzdeɪ  
æt ðə treɪn steɪʃən]

ALB4: Analysis of the phrase: “...and maybe a snack for her brother Bob”



ENG1: Biographical Data

*birth place:* Davenport, Iowa, USA

*native language:* English

*other language(s):* none

*age, sex:* 35, female

*age of English onset:* 0

*English learning method:* naturalistic


*English residence:* USA

*length of English residence:* 35 years

[p<sup>h</sup>li:s k<sup>h</sup>ɒl stɛlə æsk ə rə bɹɪŋ  
 ði:z θɪŋz wɪθ hə flɑ:m ðə stɔ:ɹ  
 sɪks spū:nz ʌʋ frɛʃ snɒʋ p<sup>h</sup>i:z  
 fəɹy θɪk slæ:bz ʌʋ blu tʃi:z æn  
 meɪbi: ə snæk fə hə brʌðə  
 bɑ:b wɪ ɔlso ni:r ə smɒl  
 p<sup>h</sup>ɹæstɪk snɛɪk ən ə bɪg<sup>ɹ</sup> t<sup>h</sup>ɔɪ  
 frɑ:g fə ðə k<sup>h</sup>ɪdʒ ʃi kæn skʉp  
 ðɪz θɪŋz ɪ n<sup>h</sup>ə θɹɪ ɹɛd bæ:gz  
 æn wə wɪl<sup>v</sup> ɡʉʋ mi:t hə  
 wɛnzde æt ðə tɹɛɪn steɪʃɪn]

## LANGUAGE

ENG1: Analysis of the phrase: "...and maybe a snack for her brother Bob"



ENG2

Biographical Data

*birth place:* Pittsburgh, Pennsylvania, USA

*native language:* English

*other language(s):* French Spanish

*age, sex:* 52, female

*age of English onset:* 0


*English learning method:* naturalistic

*English residence:* USA

*length of English residence:* 52 years

[p<sup>h</sup>li:z k<sup>h</sup>ɔl stələ æsk həɪ rə  
bʌŋ ði:z ʃɪŋz wɪθ həɪ fɪlɪm n̩ə  
stɔɪ sɪks spəʊnz əv fɪəf ʃnoʊ  
p<sup>h</sup>i:z faɪv θɪk slæ:bz əv blu  
tʃi:z ən meɪbi ə snæk fəɪ həɪ  
brʌðəɪ bɔ:b wɪ ɔlsou nɪr ə  
smɔl plæstɪk sneɪk ən ə bɪg  
t<sup>h</sup>ɔɪ fɪɔ:g fəɪ ðə kɪdz ʃɪ kən  
skʊp ði:z ʃɪŋz ɪntu θɪi: ɹed  
bæ:gz æn wɪ wɪl geʊ mɪt həɪ  
neks wɛnzdeɪ æt ðə tɹɛm  
steɪʃən]

ENG2: Analysis of the phrase: "...and maybe a snack for her brother Bob"



ENG3: Biographical Data

*birth place:* Staffordshire, UK

*native language:* English

*other language(s):* French

*age, sex:* 35, female

*age of English onset:* 0

*English learning method:* naturalistic


*English residence:* UK

*length of English residence:* 35 years

[p<sup>h</sup>i:z k<sup>h</sup>a:l stɛl̩ ask ə tə bɪŋ  
 ðiz θɪŋz wɪð ə flɑ:m ðə stə  
 sɪks spʊ:nz ʌv frɛʃ snʊʊ p<sup>h</sup>i:z  
 fɑɪv θɪk slɑbz əv blɪ tʃi:z ən  
 meɪ ə snæk fə hɜ bɪʌðs bʌb  
 wɪ ɔlsə nɪd ə smɑ:l plɑstɪk  
 sneɪk ən ə bɪg t<sup>h</sup>ɔ: flɑg<sup>7</sup> fə ðə  
 kɪdʒ ʃɪ k<sup>h</sup>ən skʊp<sup>7</sup> ðiz θɪŋz  
 ɪntə θaɪ ɹed bæŋz wɪ wɪl gʊv  
 mɪt ə wɛnzde æt? ðə tɪn  
 stɛɪʃən]

## LANGUAGE

ENG3: Analysis of the phrase: "...and maybe a snack for her brother Bob"



ENG4: Biographical Data

*birth place:* New Britain, Connecticut, USA

*native language:* English

*other language(s):* none

*age, sex:* 39, male

*age of English onset:* 0

*English learning method:* naturalistic


*English residence:* USA

*length of English residence:* 39 years

[p<sup>h</sup>i:lɪz k<sup>h</sup>ɑl<sup>ɪ</sup> stələ æsk ə rə bʌŋ  
ðɪz θɪŋz wɪð ə fɪlm ðə stɔ: sɪks  
spʊ:nz əv fɪɛf snou p<sup>h</sup>i:lɪz faɪv θɪk  
slæ:bz əv blu t<sup>h</sup>ʃi:z ðn meɪbi ə  
snæk fə hə bɪlɒðə bɑ:bð wi ɑl<sup>ɪ</sup>so  
nɪrə smɑl<sup>ɪ</sup> p<sup>h</sup>læstɪk<sup>ɪ</sup> sneɪk ɛn ə  
bɪg t<sup>h</sup>ɔɪ fɪɑ:g fə ðə k<sup>h</sup>i:dz ʃɪ kæn  
skʌp ðɪz θɪŋz ɪntə θɪɪ ɪed bæ:gz  
ɛn wi wɪl<sup>ɪ</sup> gou mɪr ə wɛnzdeɪ ət<sup>ɪ</sup>  
ðə t<sup>h</sup>ɪɛm steɪʃən]



ENG4: Analysis of the phrase: “...and maybe a snack for her brother Bob”



# რა არის ელემენტარული გეომეტრია<sup>1</sup>

ალფრედ ტარსკი

Institute for Basic Research in Science,  
University of California, Berkeley, California, U.S.A.

ევკლიდეს ელემენტების ტრადიციისამებრ შერწყმული იმ ცნებების და თეორემების ერთობლიობა, რომელიც შეადგენს საშუალო-სასკოლო გეომეტრიის კურსს სასაუბრო ენაში, თავისუფლად მოიხსენიება ტერმინით **ელემენტარული გეომეტრია**. ამგვარად, ტერმინს არამკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს და ის შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციას. თუ გვსურს ელემენტარული გეომეტრია გავხადოთ მათემატიკური შესწავლის საგანი და მივიღოთ ზუსტი შედეგები (არა მის ფარგლებში, არამედ საზოგადოდ), მაშინ აუცილებელი ხდება გარკვეული ინტერპრეტაციის არჩევა. კერძოდ, უნდა აღვწეროთ, ზუსტად რომელი წინადადებები შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ ელემენტარულ გეომეტრიაში და რომელი მათგანი შეგვიძლია ვცნოთ ზოგადმართებულად; სხვა სიტყვებით, უნდა დავადგინოთ გამოხატვისა და დამტკიცების საშუალებები, რომლებითაც ეს დისციპლინა არის აღჭურვილი.

ამ სტატიაში, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ვამახვილებთ ელემენტარული გეომეტრიის ცნებაზე, რომელიც უხეშად შეიძლება შემდეგნაირად აღინეროს: ელემენტარულ გეომეტრიად მოვიხსენიოთ გეომეტრიის ის ნაწილი, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბდეს და დამტკიცდეს სიმრავლურ-თეორიული საშუალებების გარეშე.

<sup>1</sup> თარგმანი შესრულებულია შემდეგი პუბლიკაციის მიხედვით: Tarsky, Alfred. 1959. What is elementary geometry? In: The axiomatic method with special reference to geometry. Leon Henkin, Patric Supper, Alfred Tarsky (eds). *Proceedings of an International Symposium held at the University of California, Berkeley, December 26, 1957-January 4, 1958.*

უფრო ზუსტად, ელემენტარული გეომეტრია აქ გაგებული უნდა იყოს [25]<sup>2</sup>-ის აზრით, როგორც სტანდარტული ფორმალიზაციის მქონე თეორია. ის ფორმალიზებულია ელემენტარულ ლოგიკაში, პირველი რიგის პრედიკატთა აღრიცხვაში. ნაგულისხმევია, რომ ყველა ის ცვლადი,  $x, y, z, \dots$ , რომელიც ამ თეორიაში გვხვდება, გაირბენს თავის მნიშვნელობად დაფიქსირებული სიმრავლის წერტილების ერთობლიობას. თეორიის ლოგიკური სიმბოლოებია: (i) წინადადებათა მაკავშირებლები — უარყოფის სიმბოლო  $\neg$ , იმპლიკაციის („გამომდინარეობის“) სიმბოლო  $\rightarrow$ , დიზიუნქციის („ან“) სიმბოლო  $\vee$  და კონიუნქციის („და“) სიმბოლო  $\wedge$ ; (ii) კვანტორები — ნებისმიერობის (უნივერსალური) კვანტორი  $\forall$  და არსებობის (ეგზისტენციალური) კვანტორი  $\exists$ ; (iii) ორი სპეციალური, ორადგილიანი პრედიკატი — იგივეობის სიმბოლო  $=$  და განსხვავებულობის სიმბოლო  $\neq$ . არალოგიკურ სიმბოლოებად (თეორიის პრიმიტიულ სიმბოლოებად, გეომეტრიულ ცნებებად) შეგვეძლო გამოგვეცხადებინა ნებისმიერი პრედიკატი, რომელიც აღნიშნავს მიმართებებს წერტილებს შორის და რომელთა ტერმინებშიც ყველა ცნობილი გეომეტრიული ცნება იქნებოდა განსაზღვრებადი. სინამდვილეში, ამ მიზნისთვის ვიღებთ ორ პრედიკატს: სამადგილიან პრედიკატს  $B$ , რომელიც აღნიშნავს შორისობის (შორის მყოფობის) მიმართებას, და ოთხადგილიან პრედიკატს  $\cong$ , რომელიც აღნიშნავს თანაბარდაშორებულობის მიმართებას; ფორმულა  $B(xyz)$  იკითხება შემდეგნაირად:  $y$  მდებარეობს  $x$ -სა და  $z$ -ს შორის (შემთხვევა, როდესაც  $y$  ემთხვევა  $x$ -ს ან  $z$ -ს არ არის გამორიცხული), ხოლო  $xy \cong zu$  იკითხება შემდეგნაირად:  $x$  ისევეა დაშორებული  $y$ -სგან, როგორც  $z$  არის დაშორებული  $u$ -სგან.

ამგვარად, ელემენტარული გეომეტრიის ჩვენეულ ფორმალიზაციაში ინდივიდუალებად განვიხილავთ მხოლოდ წერტილებს; შესაბამისად, ისინი წარმოდგენილი არიან (პირველი რიგის) ცვლადებით. რადგან ელემენტარულ გეომეტრიას არ აქვს სიმრავლურ-თეორიული ბაზისი, მისი ფორმალიზაცია არ არის აღჭურვილი მაღალი რიგის ცვლადებითა და სიმბოლოებით, რომლებიც წარმოადგენენ ან აღნიშნავენ გეომეტრიულ ფიგურებს (წერტილთა სიმრავლეებს), გეომეტრიულ ფიგურათა კლასებს და ა.შ. უნდა ითქვას, რომ, ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც


2 ამ სტატიის ერთ-ერთი, ყველაზე მთავარი მიზანია წარმოვაჩინოთ თანამედროვე ლოგიკისა და მეტამათემატიკის ცნებების მნიშვნელობა გეომეტრიის დაფუძნების შესწავლაში. ამ დისკუსიაში ნახსენებ ლოგიკურ და მეტამათემატიკურ ცნებებში გასარკვევად იხ. [24] და [25] (ბიბლიოგრაფია იხილეთ სტატიის ბოლოს). მთავარი მეტამათემატიკური შედეგი, რომელსაც ემყარება ეს დისკუსია, მიღებული იყო [23]-ში. ალგებრული ცნებების და შედეგების გასაცნობად იხ. [27]. არსებობს ამ სტატიასთან თემატურად დაკავშირებული და იმავე პერიოდის რამდენიმე სტატია: ეს პირველ რიგში ეხება Scott-ის სტატიას [21] და Szmieliew-ის სტატიას [22], ასევე, Robinson-ის სტატიას [18].

## LOGIC

შეგვიძლია გამოვსახოთ ჩვენს ფორმალიზმში ყველა ის შედეგი, რომელიც შეეხება სწორხაზოვან ფიგურებს და შეიძლება შეგვხვდეს სასკოლო გეომეტრიის სახელმძღვანელოებში; მათ შორის ისინი, რომლებიც ყალიბდება გეომეტრიული ფიგურების სხვადასხვაგვარ კლასთა მეშვეობით, როგორებიცაა: წრფეები, წრეწირები, მონაკვეთები, სამკუთხედები, ოთხკუთხედები და, უფრო ზოგადად, მრავალკუთხედები წვეროთა რაღაც დაფიქსირებული სასრული რაოდენობით; ასევე, შეგვიძლია გამოვსახოთ გარკვეული მიმართებები ამ კლასების გეომეტრიულ ფიგურებს შორის, როგორებიცაა კონგრუენტობა და მსგავსება. ეს უმეტესწილად იმ ფაქტის შედეგია, რომ ყოველ ნახსენებ კლასში ყოველი გეომეტრიული ფიგურა განისაზღვრება წერტილების დაფიქსირებული სასრული სიმრავლით. მაგალითად, იმის თქმის ნაცვლად, რომ *წერტილი z მდებარეობს წრფეზე, რომელიც გადის წერტილებზე x და y*, შეგვიძლია ვთქვათ, რომ *სრულდება B(xyz) ან B(yzx) ან B(zxy)*; ხოლო ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ: *მონაკვეთები, რომელთა ბოლოები xy და x'y' კონგრუენტულია*, უბრალოდ ვიტყვი, რომ *სრულდება  $xy \cong x'y'$* .

ჩვენს ფორმალიზმში ჩამოყალიბებული წინადადება მოიხსენიება როგორც ზოგადმართებული, თუ ის (სემანტიკურად) გამომდინარეობს წინადადებებიდან, რომლებიც შერჩეულია აქსიომებად; სხვა სიტყვებით, თუ ის სრულდება ყველა მათემატიკურ სტრუქტურაში, რომლებშიც კი სრულდება ყველა აქსიომა. მოცემულ შემთხვევაში, ელემენტარული (პირველი რიგის) ლოგიკის სისრულის თეორემის ძალით, წინადადება ზოგადმართებულია, თუ ის გამოიყვანება აქსიომებიდან კარგად ცნობილი გამოყვანის წესების მეშვეობით. სათანადო აქსიომების სიმრავლის მისაღებად, დავინყებთ აქსიომათა სისტემით, რომლის შესახებაც ცნობილია, რომ ის იძლევა მთელი ევკლიდური გეომეტრიის ადეკვატურ ლოგიკურ ბაზისს და არალოგიკურ სიმბოლოებად შეიცავს მხოლოდ  $B$ -ს და  $\cong$ -ს. ჩვეულებრივ ასეთ სისტემებში ერთადერთი არაელემენტარული (არა პირველი რიგის) წინადადება არის უწყვეტობის აქსიომა, რომელიც (გარდა პირველი რიგის ცვლადებისა, რომლებიც გაირბენენ წერტილებს) შეიცავს მეორე რიგის ცვლადებს  $X, Y, \dots$ , რომლებიც თავის მნიშვნელობად მიიღებენ (გაირბენენ) წერტილთა ნებისმიერ სიმრავლეებს, და, ასევე, შეიცავს დამატებით ლოგიკურ სიმბოლოს,  $\in$ , რომელიც აღნიშნავს მიკუთვნების მიმართებას წერტილებსა და სიმრავლეებს შორის. უწყვეტობის აქსიომა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

$$\forall XY\{\exists z\forall xy[x \in X \wedge y \in Y \rightarrow B(xyz)] \rightarrow \exists u\forall xy[x \in X \wedge y \in Y \rightarrow B(xuy)]\}$$



ჩვენ ამოვიღეთ სისტემიდან ეს აქსიომა და შევცვალეთ ის უწყვეტობის ყველა ელემენტარული აქსიომის უსასრულო ერთობლიობით; სხვა სიტყვებით, უხეშად რომ ვთქვათ, ყველა იმ წინადადების ერთობლიობით, რომლებიც მიიღება ზემოთმოყვანილი არაელემენტარული (არა პირველი რიგის) აქსიომიდან, თუ  $x \in X$ -ს შევცვლით ნებისმიერი ელემენტარული ფორმულით, რომელშიც  $x$  შედის თავისუფლად, და  $y \in X$ -ს შევცვლით ნებისმიერი ელემენტარული ფორმულით, რომელშიც  $y$  შედის თავისუფლად. იდეების საჩვენებლად დარჩენილ ნაწილში შემოვიფარგლებით ორგანზომილებიანი (სიბრტყის) ელემენტარული გეომეტრიით და მოვიყვანთ მარტივ აქსიომათა სისტემას, რომელიც მიიღება იმ გზით, რომელიც ახლა აღვწერეთ. სისტემა შედგება თორმეტი ელემენტარული აქსიომისგან A1-A12-სა და A13-სგან, რომელიც არის უწყვეტობის ელემენტარულ აქსიომათა უსასრულო ერთობლიობა.

A1 [იგივეობის აქსიომა შორისობისთვის].

$$\forall xy[B(xyx) \rightarrow (x = y)]$$

A2 [შიდა ტრანზიტულობის აქსიომა შორისობისთვის].

$$\forall xyz[B(xyu) \wedge B(yzu) \rightarrow B(xyz)]$$

A3 [გარე ბმულობის აქსიომა შორისობისთვის].

$$\forall xyz[B(xyz) \wedge B(xyu) \wedge (x \neq y) \rightarrow B(xzu) \vee B(xuz)]$$

A4 [რეფლექსურობის აქსიომა თანაბარდამორებულობისთვის].

$$\forall xy[xy \cong yx]$$

A5 [იგივეობის აქსიომა თანაბარდამორებულობისთვის].

$$\forall xyz[(xy \cong zz) \rightarrow (x = y)]$$

A6 [ტრანზიტულობის აქსიომა თანაბარდამორებულობისთვის].

$$\forall xyzuvw[(xy \cong zu) \wedge (xy \cong vw) \rightarrow (zu \cong vw)]$$

A7 [პაშის აქსიომა (გარე ფორმით)].

$$\forall txyz \exists v[B(xtu) \wedge B(yuz) \rightarrow B(xvy) \wedge B(ztv)]$$

A8 [ეკვლიდეს აქსიომა].

$$\forall txyz \exists vw[B(xut) \wedge B(yuz) \wedge (x \neq u) \rightarrow B(xzv) \wedge B(xyw) \wedge B(wtv)]$$

A9 [ხუთი მონაკვეთის აქსიომა].

$$\forall xx'yy'zz'uu'[(xy \cong x'y') \wedge (yz \cong y'z') \wedge (xu \cong x'u') \wedge (yu \cong y'u') \wedge (u \neq v) \wedge B(xyz) \wedge B(x'y'z') \rightarrow (zu \cong z'u')]$$

A10 [მონაკვეთის აგების აქსიომა].

$$\forall xyuv \exists z [B(xyz) \wedge (yz \cong uv)]$$

A11 [ქვედა 2-განზომილებიანი აქსიომა].

$$\exists xyz [\neg B(xyz) \wedge \neg B(yzx) \wedge \neg B(zxy)]$$

A12 [ზედა 2-განზომილებიანი აქსიომა].

$$\forall xyzuv [(xu \cong xv) \wedge (yu \cong yv) \wedge (zu \cong zv) \rightarrow B(xyz) \vee B(yzx) \vee B(zxy)]$$

A13 [უნყვეტობის ელემენტარული აქსიომები].

შემდეგი ფორმის ყველა წინადადება

$$\forall vw \dots \{ \exists z \forall xy [\varphi \wedge \psi \rightarrow B(zxy)] \rightarrow \exists u \forall xy [\varphi \wedge \psi \rightarrow B(xuy)] \},$$

სადაც  $\varphi$  არის ფორმულა, რომელშიც  $x, v, w, \dots$  ცვლადები შედიან თავისუფლად, ხოლო არც  $y, z$  და არც  $u$  — არა (მაშასადამე, თუ შედიან, შედიან დაბმულად); მსგავსადვე,  $\psi$  არის ფორმულა, სადაც  $y, v, w, \dots$  შედიან თავისუფლად, ხოლო  $x, z$  და  $u$  — არა (მაშასადამე, თუ შედიან, შედიან დაბმულად).

ელემენტარულ გეომეტრიას, რომელიც ემყარება ჩამოთვლილ აქსიომებს, აღნიშნავთ სიმბოლოთი  $\mathcal{E}_2$ . ქვემოთ, თეორემებში 1-4, ჩამოვაცალიებთ ამ თეორიის ფუნდამენტურ მათემატიკურ თვისებებს.<sup>3</sup>

პირველ რიგში, განვიხილოთ  $\mathcal{E}_2$ -ის წარმოდგენის საკითხი, სხვა სიტყვებით, ამ თეორიის მოდელების დახასიათების საკითხი.  $\mathcal{E}_2$ -ის მოდელი კი არის ისეთი სისტემა  $\mathfrak{M} = \langle A, B, E \rangle$ , რომ (i)  $A$  არის რამე არაცარიელი სიმრავლე,  $B$  და  $E$  კი, შესაბამისად, სამ- და ოთხაღილიანი მიმართებები  $A$ -ს ელემენტებს შორის; (ii)  $\mathfrak{M}$ -ში სრულდება  $\mathcal{E}_2$ -ის ყველა აქსიომა იმ დაშვებით, რომ ყველა ცვლადი გაირბენს  $A$ -ს ელემენტებს, ხოლო კონსტანტები  $B$  და  $\cong$ , შესაბამისად, აღნიშნავენ  $B$ -სა და  $E$ -ს.

$\mathcal{E}_2$ -ის მოდელის ყველაზე ნაცნობი (და ასევე ისინი, რომლებიც მარტივად მოხელთებადია ალგორითმული მეთოდებით) ნიმუშებია დალაგებულ ველზე დეკარტული სივრცეები, რომელთა ცნებას ქვემოთ განვსაზღვრავთ. აქ არ განვსაზღვრავთ და, შესაბამისად, ვთვლით, რომ მკითხველისთვის ცნობილია, რა პირო-

3 თეორია  $\mathcal{E}_2$ -ის მოკლე განხილვა და მისი მეტამათემატიკური თვისებები მოცემული იყო [23]-ში, გვ. 43-დან. დეტალური განვითარება (რომელიც ეყრდნობა [23]-ს) მოცემულია [19]-ში, თუმცა იქ წამოდგენილი ელემენტარული გეომეტრიის საბაზისო სისტემა განსხვავდება აქ განხილული სისტემისგან თავისი ლოგიკური სტრუქტურით, პრიმიტივების სიმბოლოებითა და აქსიომებით.

თეორია  $\mathcal{E}_2$ -ის აქსიომათა სისტემა, რომელიც მოცემულია ზემოთ, წარმოადგენს იმ სისტემის გამარტივებულ ვარიანტს, რომელიც მოცემული იყო [23]-ში, გვ. 55-დან. უმთავრესად გამარტივება მდგომარეობს ზედმეტი აქსიომების გამოკლებაში. იმის დამტკიცება, რომ ამოღებული აქსიომები გამოყვანადია დარჩენილებიდან, მიღებული იყო Eva Kallin-ის, Scott Taylor-ისა და წინამდებარე ნაშრომის ავტორის მიერ ბერკლის უნივერსიტეტში 1956-1957 წლებში გეომეტრიის დაფუძნების შესახებ ჩატარებული სალექციო კურსის ფარგლებში.

ბებში ეწოდება სისტემას  $\mathbb{F} = \langle F, +, \cdot, \leq \rangle$  დალაგებული ველი და როგორ განისაზღვრება დალაგებული ველისთვის სიმბოლოები  $0, x, -y, x^2$  (სადაც  $F$  არის არა-ცარიელი სიმრავლე,  $+$  და  $\cdot$  არიან ორადგილიანი ოპერაციები, რომელთა მიმართაც  $F$  ჩაკეტილია, ხოლო  $\leq$  არის  $F$ -ის ელემენტებს შორის დალაგების ორადგილიანი მიმართება). დალაგებულ  $\mathbb{F}$  ველს ეწოდება ევკლიდური, თუ ყველა არაუარყოფითი ელემენტი  $\mathbb{F}$ -ში არის რაიმე ელემენტის კვადრატი; დალაგებულ ველს  $\mathbb{F}$  ეწოდება ნამდვილ-ჩაკეტილი (real closed), თუ ის ევკლიდურია და კენტი ხარისხის ყველა მრავალწევრს კოეფიციენტებით  $\mathbb{F}$ -დან გააჩნია ნული  $\mathbb{F}$ -ში. განვიხილოთ  $F$ -ის ელემენტების დალაგებულ წყვილთა სიმრავლე  $A_F = F \times F$ . მის ელემენტებს აქვს შემდეგი სახე:  $x = \langle x_1, x_2 \rangle$ , სადაც  $x_1$  და  $x_2$  არიან  $F$ -ის ელემენტები. განვსაზღვროთ ასეთ წყვილებს შორის  $B_F$  და  $E_F$  მიმართებები შემდეგნაირად:

$B_F(xyz)$  სრულდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც

$$(x_1 - y_1) \cdot (y_2 - z_2) = (x_2 - y_2) \cdot (y_1 - z_1),$$

$$0 \leq (x_1 - y_1) \cdot (y_1 - z_1), \text{ და } 0 \leq (x_2 - y_2) \cdot (y_2 - z_2);$$

$E_F(xyzu)E_F(xyzu)$  სრულდება მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც

$$(x_1 - y_1)^2 + (x_2 - y_2)^2 = (z_1 - u_1)^2 + (z_2 - u_2)^2$$

სისტემას  $\mathcal{C}_2(\mathbb{F}) = \langle A_F, B_F, E_F \rangle$  ეწოდება (ორგანზომილებიანი) დეკარტული სივრცე  $\mathbb{F}$ -ზე. კერძოდ, თუ  $\mathbb{F}$ -ის როლში განვიხილავთ ნამდვილ რიცხვთა დალაგებულ ველს  $\mathbb{R}$ , მივიღებთ ჩვეულებრივ (ორგანზომილებიან) დეკარტულ სივრცეს  $\mathcal{C}_2(\mathbb{R})$ .

**თეორემა 1 (ნარმოდგენის თეორემა):** იმისთვის, რომ  $\mathfrak{M}$  იყოს  $\mathcal{E}_2$ -ის მოდელი აუცილებელი და საკმარისია, რომ  $\mathfrak{M}$  იყოს იზომორფული დეკარტული სივრცისა  $\mathcal{C}_2(\mathbb{F})$  რაიმე ნამდვილ-ჩაკეტილი დალაგებული ველისთვის  $\mathbb{F}$ .

**დამტკიცება** (მონახაზი): (საკმარისობა) — კარგად ცნობილია, რომ  $\mathcal{E}_2$ -ის ყველა აქსიომა სრულდება  $\mathcal{C}_2(\mathbb{R})$ -ში და ამიტომ  $\mathcal{C}_2(\mathbb{R})$  არის  $\mathcal{E}_2$ -ის მოდელი. [23]-ში მოცემული ფუნდამენტური შედეგის თანახმად, ყოველი ნამდვილ-ჩაკეტილი ველი  $\mathbb{F}$  ელემენტარულად ეკვივალენტურია ნამდვილ რიცხვთა ველისა  $\mathbb{R}$ ; სხვა სიტყვებით, ყველა ელემენტარული (პირველი რიგის) წინადადება, რომელიც სრულდება ერთ-ერთ ამ ველში, სრულდება მეორეშიც. შედეგად ყოველი დეკარტული სივრცე  $\mathcal{C}_2(\mathbb{F})$  რაიმე ნამდვილ-ჩაკეტილ ველზე  $\mathbb{F}$  ელემენტარულად ეკვივალენტურია  $\mathcal{C}_2(\mathbb{R})$ -ისა და, შესაბამისად, ასევე, არის  $\mathcal{E}_2$ -ის მოდელი.

თეორემის მეორე მხარის (აუცილებლობის) დასამტკიცებლად გამოვიყენებთ

ელემენტარულ-გეომეტრიული პროპორციების თეორიის მეთოდებსა და შედეგებს, რომლებიც ლიტერატურაში შემუშავებულია სხვადასხვაგვარ მიზეზთა თუ მიზნის გამო (იხ. მაგ. [9], გვ. 51-დან). განვიხილოთ  $\mathcal{E}_2$ -ის მოდელი  $\mathfrak{M} = \langle A, B, E \rangle$ ; ვთქვათ  $z$  და  $u$  არის  $A$ -ს ორი სხვადასხვა წერტილი, ხოლო  $F$  იყოს წრფე, რომელიც გადის  $z$  და  $u$  წერტილებზე, სხვა სიტყვებით, ყველა იმ  $x$  წერტილთა სიმრავლე, რომელთათვისაც სრულდება  $B(zux)$  ან  $B(uzx)$  ან  $B(xzu)$ . სტანდარტული კონსტრუქციების მეშვეობით ამ წრფეზე ვსაზღვრავთ  $+$  და  $\cdot$  ოპერაციებს და მიმართებას  $\leq$ ,  $F$ -ის ყოველ ორ წერტილს,  $x$ -ს და  $y$ -ს, შორის. კერძოდ, ვამბობთ, რომ  $x \leq y$ , თუ  $x = y$ , ან  $B(xzu)$  და არა  $B(yxu)$ , ან  $B(zxy)$  და არა  $B(xzu)$  (სხვა სიტყვებით, სრულდება ფორმულა  $[(x = y) \vee (B(xzu) \wedge \neg B(yxu)) \vee (B(zxy) \wedge \neg B(xzu))]$ );  $x + y$  განსაზღვრულია როგორც  $F$ -ის ერთადერთი ისეთი  $v$  წერტილი, რომ  $E(zxyv)$  და  $z \leq x$  და  $y \leq v$ , ან  $x \leq z$  და  $v \leq y$  (სხვა სიტყვებით, სრულდება ფორმულა  $E(zxyv) \wedge [((z \leq x) \wedge (y \leq v)) \vee ((x \leq z) \wedge (v \leq y))]$ ), და, შესაბამისად,  $z$  თამაშობს  $0$ -ის როლს).  $x \cdot y$ -ის განმარტება უფრო ჩახლართულია; მისთვის საჭიროა წერტილები  $F$ -ის გარეთ და ის არსებითად ემყარება პარალელური წრფეების თვისებებს (იხ. [11], თავი 18). მხოლოდ A1-A12 აქსიომების გამოყენებით (A13-ის გამოყენების გარეშე) შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ  $\mathbb{F} = \langle F, +, \cdot, \leq \rangle$  არის დალაგებული ველი; აქსიომათა ერთობლიობა A13-ის მეშვეობით კი მივიღებთ, რომ  $\mathbb{F}$ , სინამდვილეში, ნამდვილ-ჩაკეტილი ველია. განვიხილოთ  $G$  წრფე, რომელიც  $F$  წრფის მართობულია და გადის  $z$  წერტილში; შედეგად ვლებულობთ მართკუთხა კოორდინატთა სისტემას  $\mathfrak{M}$ -ში და ვამყარებთ ურთიერთცალსახა თანაფარდობას  $A$ -ს წერტილებს,  $x, y, \dots$  და მათი კოორდინატების  $\bar{x} = \langle x_1, x_2 \rangle, \bar{y} = \langle y_1, y_2 \rangle, \dots$  დალაგებულ წყვილებს შორის  $F \times F$ -ში. პითაგორას თეორემის მეშვეობით (მტკიცდება, რომ ის ზოგადმართებულია  $\mathcal{E}_2$ -ში) შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ ფორმულა

$$E(xyst)$$

სრულდება ნებისმიერი მოცემული  $x, y, \dots$  წერტილებისთვის  $A$ -დან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ფორმულა

$$E_{\mathbb{F}}(\bar{x}\bar{y}\bar{s}\bar{t})$$

სრულდება  $F \times F$ -ის შესაბამისი ელემენტებისთვის (კოორდინატთა წყვილებისთვის)  $\bar{x} = \langle x_1, x_2 \rangle, \bar{y} = \langle y_1, y_2 \rangle, \dots$ ; სხვა სიტყვებით, თუ

$$(x_1 - y_1)^2 + (x_2 - y_2)^2 = (s_1 - t_1)^2 + (s_2 - t_2)^2;$$

ანალოგიურ შედეგს მივიღებთ  $B(xyz)$ -ისთვის. აქედან გამომდინარე, სისტემები  $\mathfrak{M}$  და  $\mathcal{C}_2(\mathbb{F})$  იზომორფულია, რაც ასრულებს დამტკიცებას.



განვიხილოთ  $E_2$  თეორიის სისრულის საკითხი. რაიმე თეორიას ეწოდება სრული, თუ ყოველი  $\sigma$  წინადადება (ჩამოყალიბებული ამ თეორიის სიმბოლოზში) ან სრულდება ამ თეორიის ყველა მოდელში ან არ სრულდება ამ თეორიის არცერთ მოდელში. თეორიებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ სტანდარტული ფორმალიზაცია, ეს განმარტება შეიძლება ჩამოყალიბდეს რამდენიმე სხვა ეკვივალენტური ფორმით; მაგ., შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეორია არის სრული, თუ ყოველი  $\sigma$  წინადადებისთვის ზოგადმართებულია  $\sigma$  ან ზოგადმართებულია  $\neg\sigma$ , ან თუ ამ თეორიის ყოველი ორი მოდელი ელემენტარულად ეკვივალენტურია. რაიმე თეორიას ეწოდება თავსებადი, თუ მას გააჩნია სულ მცირე ერთი მაინც მოდელი; ამ შემთხვევაშიც ცნობილია რამდენიმე ეკვივალენტური ფორმულირება. თუ არსებობს მოდელი  $\mathcal{M}$ , ისეთი, რომ წინადადება სრულდება  $\mathcal{M}$ -ში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ზოგადმართებულია მოცემულ თეორიაში, მაშინ ცხადია თეორია იქნება თავსებადიც და სრულიც; ასევე სწორია შებრუნებული დებულება. თეორია  $E_2$ -ის საკითხს ნათელს ჰფენს მომდევნო თეორემა.

**თეორემა 2 (სისრულის თეორემა):**

(i)  $E_2E_2$ -ში ჩამოყალიბებული წინადადება ზოგადმართებულია მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ ის სრულდება  $\mathcal{C}_2(\mathbb{R})$ -ში.

(ii) თეორია  $E_2$  სრულია (და თავსებადი).

ამ თეორემის (i)-ნაწილი გამომდინარეობს თეორემა 1-დან და [23]-ში მიღებული ფუნდამენტური შედეგიდან, რომელიც გამოყენებული იყო თეორემა 1-ის დამტკიცებისას; ხოლო (ii), როგორც ვთქვით, წარმოადგენს (i)-ის უშუალო შედეგს.

შემდეგი საკითხი, რომელსაც აქ განვიხილავთ, არის  $E_2$ -ის ამოხსნადობის (გადანწყვეტადობის) საკითხი. ეს არის ისეთი ალგორითმული (მექანიკური) მეთოდის არსებობის საკითხი, რომელიც საშუალებას გვაძლევს  $E_2$ -ში ჩამოყალიბებული წინადადებებისთვის, ყოველ კერძო შემთხვევაში, გავარკვიოთ (გადავწყვიტოთ) მართებულია წინადადება, თუ — არა. შეკითხვას ასეთი მეთოდის არსებობის შესახებ კვლავ დადებითი პასუხი აქვს.

**თეორემა 3 (ამოხსნადობის თეორემა):** თეორია  $E_2$  არის ამოხსნადი (გადანწყვეტადი).

თეორემა 2-ის თანახმად, თეორია სრულია და ამ თეორიის განსაზღვრებიდან ვიცით, რომ ის აქსიომატიზებადია (სხვა სიტყვებით, მას აქვს ისეთ აქსიომათა სისტემა, რომ მოცემული წინადადებისთვის ყოველთვის შეგვიძლია გავარკვიოთ, არის თუ არა ის აქსიომა). თუმცა, ცნობილია, რომ ყოველი სრული აქსიომატი-

ზებადი თეორია, რომელსაც გააჩნია სტანდარტული ფორმალიზაცია, არის ამოხსნადი (იხ., მაგ., [25], გვ. 14); მაშასადამე,  $\mathcal{E}_2$  ამოხსნადია. სინამდვილეში [23]-ში მოცემული დისკუსიის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ცხადად ჩამოვაყალიბოთ  $\mathcal{E}_2$ -ისთვის გადაწყვეტის მეთოდი (ასევე, იხ. [6]).

$\mathcal{E}_2$ -ის ბოლო მათემატიკური საკითხი, რომელსაც აქ განვიხილავთ, არის  $\mathcal{E}_2$ -ის სასრული აქსიომატიზაციის ასებობის საკითხი.  $\mathcal{E}_2$ -ის განმარტებაში ვხედავთ, რომ ამ თეორიას აქვს აქსიომათა სისტემა, რომელიც შედგება სასრული რაოდენობის ინდივიდუალური აქსიომებისგან და აქსიომათა უსასრულო ერთობლიობისგან, რომლებიც ერთიანდება ერთი აქსიომა-სქემის ქვეშ. ეს აქსიომა-სქემა (რომელიც არის A13-ში არსებული სიბოლური გამოსახულება) შეგვიძლია მსუბუქად შევცვალოთ ისე, რომ მივიღოთ ერთი წინადადება პრედიკატთა აღრიცხვის სისტემაში ცვლადი პირველი რიგის პრედიკატებით და ამ უსასრულო კოლექციის ყველა კერძო აქსიომა მიიღებოდეს ამ წინადადებიდან ჩასმის ოპერაციის მეშვეობით. შექმნილი სიტუაცია მოკლედ შემდეგნაირად შეგვიძლია აღვწეროთ: განსაზღვრების თანახმად, თეორია  $\mathcal{E}_2$  „თითქმის სასრულად აქსიომატიზირებადია“ და გვანტერესებს, არის თუ არა ის მკაცრი აზრით სასრულად აქსიომატიზებადი; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხომ არ შეიძლება თავდაპირველი აქსიომათა სისტემა შევცვალოთ  $\mathcal{E}_2$ -ში ჩამოყალიბებული ეკვივალენტური სასრული აქსიომათა სისტემით? ამაზე პასუხი უარყოფითია.

**თეორემა 4 (სასრული აქსიომატიზაციის არარსებობის თეორემა):** თეორია  $\mathcal{E}_2$  არ არის სასრულად აქსიომატიზებადი.

**დამტკიცება (მონახაზი):** თეორემა 1-ის დამტკიცებიდან ჩანს, რომ აქსიომების უსასრულო ერთობლიობა A13 ეკვივალენტურად შეიძლება შეიცვალოს წინადადებების უსასრულო მიმდევრობით  $S_0, \dots, S_n, \dots$ , სადაც  $S_0$ -ით ნათქვამია, რომ თეორემა 1-ში აგებული დალაგებული ველი  $\mathbb{F}$  არის ევკლიდური, ხოლო  $S_n$ , სადაც  $n > 0$ , გამოხატავს ფაქტს, რომ ამ ველში ყოველ მრავალწევრს, რომლის ხარისხია  $2n + 1$ , აქვს ნული. ყოველი მარტივი რიცხვისთვის  $p$  მარტივად შეგვიძლია ავაგოთ დალაგებული ველი  $\mathbb{F}_p$ , რომელშიც ყოველ კენტი  $2n + 1 < p$  ხარისხის მრავალწევრს აქვს ნული მაშინ, როდესაც  $p$  ხარისხის ერთ მაინც მრავალწევრს არ გააჩნია ნული; აქედან გამომდინარე, თუ  $2m + 1 = p$  არის მარტივი, მაშინ ყველა აქსიომა A1-A12 და  $S_n$ , სადაც  $n < m$ , სრულდება  $\mathcal{E}_2(\mathbb{F}_p)$ -ში, ხოლო  $S_m$  მასში არ სრულდება. ეს კი მაშინვე იწვევს იმ ფაქტს, რომ უსასრულო აქსიომათა სისტემას A1, ..., A12,  $S_0, \dots, S_n, \dots$  არ აქვს სასრული ქვესისტემა, რომლიდანაც გამომდინარეობს

ყველა დანარჩენი აქსიომა. ამგვარად, მარტივი მსჯელობით ვასკვნი, რომ, უფრო ზოგადად, არ არსებობს სასრული აქსიომათა სისტემა, რომელიც ეკვივალენტურია  $\mathcal{E}_2$ -ის საწყის აქსიომათა სისტემისა.

ზემოთ, მონახაზის სახით მოცემული დამტკიცებიდან ვხედავთ, რომ  $\mathcal{E}_2$  შეიძლება დაეფუძნოს აქსიომათა სისტემას  $A_1, \dots, A_{12}, S_0, \dots, S_n, \dots$ , რომელშიც (საწყის აქსიომათა სისტემისგან განსხვავებით) ყოველი აქსიომა შეიძლება ჩაინეროს უნივერსალური წინადადების ან არსებობის (ეგზისტენციალური) წინადადების ან უნივერსალურ-ეგზისტენციალური ფორმით; სხვა სიტყვებით, ყოველ აქსიომას აქვს ერთ-ერთი სახე შემდეგი სამიდან:

ან  
 $\forall xy \dots (\varphi)$

ან  
 $\exists uv \dots (\varphi)$

ან  
 $\forall xy \dots \exists uv \dots (\varphi),$

სადაც  $\varphi$  არის ფორმულა კვანტორების გარეშე. ამ სტრუქტურული თვისების შედარებით ცხადი შედეგია:  $\mathcal{E}_2$ -ის მოდელების ჯაჭვის (ან მიმართული ოჯახის) გაერთიანება ისევ არის  $\mathcal{E}_2$ -ის მოდელი. ეს შედეგი უშუალოდ თეორემა 1-ის დამტკიცებიდანაც შეგვეძლო გამოგვეყვანა.

ელემენტარული გეომეტრიის კონცეფცია, რომელსაც აქამდე განვიხილავდით, რა თქმა უნდა, არ არის ერთადერთი შესაძლო. ქვემოთ, მოკლედ განვიხილავთ ტერმინის — „ელემენტარული გეომეტრია“ — კიდევ ორ შესაძლო ინტერპრეტაციას; ისინი ხორცშესხმულნი იქნებიან ორ სხვადასხვა ფორმალურ თეორიაში:  $\mathcal{E}'_2$ -სა და  $\mathcal{E}''_2$ -ში.

თეორია  $\mathcal{E}'_2$  მიიღება  $\mathcal{E}_2$ -ის ლოგიკურ ბაზისზე სიმრავლეთა თეორიის მცირე ფრაგმენტის მიერთებით. კერძოდ,  $\mathcal{E}'_2$ -ის სიმბოლიზმში ჩავრთავთ ახალ ცვლადებს  $X, Y, \dots$ , რომლებიც გაირბენენ წერტილების ნებისმიერ სასრულ სიმრავლეებს (ან, რაც ამ შემთხვევაში იგივეა, წერტილების ნებისმიერ სასრულ მიმდევრობებს); ასევე, ჩავრთავთ ახალ ლოგიკურ სიმბოლოს — მიკუთვნების სიმბოლოს  $\in$ , წერტილებსა და სასრულ სიმრავლეებს შორის მიკუთვნების მიმართების აღსანიშნად.  $\mathcal{E}'_2$ -ის აქსიომებად ვიღებთ ისევ  $A_1$ - $A_{13}$ -ს; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აქსიომათა კოლექცია  $A_{13}$  ახლა უფრო გამომხატველია, ვიდრე  $\mathcal{E}_2$ -ის შემთხვევაში, რადგან  $\varphi$  და  $\psi$  ნარმოადგენენ ნებისმიერი ფორმულებს, რომლებიც აგებულია  $\mathcal{E}'_2$ -ის სიმბო-

ლიზმში. შესაბამისად, თეორია  $\mathcal{E}'_2$  შესამჩნევად აღემატება თეორია  $\mathcal{E}_2$ -ს გამომსახველობითი საშუალებებითა და სიმძლავრით.  $\mathcal{E}'_2$ -ში შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ და შევისწავლოთ მრავალი ისეთი ცნება, რომელიც ტრადიციულად ელემენტარული გეომეტრიის სახელმძღვანელოებში განიხილება, მაგრამ ვერ გამოისახება  $\mathcal{E}_2$ -ში; მაგ., მრავალკუთხედის ცნება, რომლის წვეროთა რაოდენობა ნებისმიერად დიდია; ასევე, წრენირის სიგრძისა და ფართობის ცნება.

რაც შეეხება იმ მათემატიკურ საკითხებს, რომლებიც განვიხილეთ  $\mathcal{E}_2$ -ის შემთხვევაში და რომელთაც პასუხი გაეცა თეორემებში 1-4, თუ მათ  $\mathcal{E}'_2$ -თან მიმართებაში განვიხილავთ, სამი მათგანი — ნარმოდგენის, სისრულისა და სასრულად აქსიომატიზებადობის — ჯერჯერობით ღიაა (პასუხგაუცემელია). კერძოდ, ჩვენთვის უცნობია  $\mathcal{E}'_2$ -ის ყველა მოდელის რაიმე სახის მარტივი დახასიათება; არც ის ვიცით, არის თუ არა ყველა ეს მოდელი ეკვივალენტური  $\mathcal{E}'_2$ -ში ჩამოყალიბებული ყველა წინადადების აზრით. (როდესაც ვსაუბრობთ  $\mathcal{E}'_2$ -ის მოდელებზე, ვგულისხმობთ ე.წ. სტანდარტულ მოდელებს; სხვა სიტყვებით, როდესაც ვწყვეტთ, მოცემულ მოდელში სრულდება თუ არა  $\mathcal{E}'_2$ -ში ჩამოყალიბებული  $\sigma$  წინადადება, ვგულისხმობთ, რომ  $\sigma$ -ში შემავალი პირველი რიგის ცვლადები  $x, y, \dots$  გაირბენენ სიმრავლის ელემენტებს, მეორე რიგის ცვლადები  $X, Y, \dots$  გაირბენენ სიმრავლის სასრულ ქვესიმრავლეებს, ხოლო სიმბოლო  $\in$  ყოველთვის გაგებულია როგორც მიკუთვნების მიმართება).  $\mathcal{E}'_2$ -ში შეგვიძლია ჩამოვაცალიბოთ არქიმედეს პოსტულატი და დავამტკიცოთ მისი ზოგადმართებულობა  $\mathcal{E}'_2$ -ში. შედეგად, თეორემა 1-ის თანახმად,  $\mathcal{E}'_2$ -ის ყოველი მოდელი იზომორფულია დეკარტული სივრცისა  $\mathcal{C}_2(\mathbb{F})$ , სადაც  $\mathbb{F}$  არის არქიმედული ნამდვილ-ჩაკეტილი ველი (ველს ეწოდება არქიმედული, თუ მასში ყოველი ორი ელემენტის კვადრატების ჯამი თვითონ არის რაიმეს კვადრატი). თუმცა, არსებობენ არქიმედული ნამდვილ-ჩაკეტილი ველები, რომელთათვის  $\mathcal{C}_2(\mathbb{F})$  არ არის  $\mathcal{E}'_2$ -ის მოდელი; ასეთია, მაგალითად, ნამდვილი ალგებრული რიცხვების ველი. არქიმედული პოსტულატის შედეგია, რომ  $\mathcal{E}'_2$ -ის ყველა მოდელი, სულ დიდი, კონტინუუმ სიმძლავრისაა (და ეს მაშინ, როდესაც მხოლოდ თეორემა 1-ის ძალით  $\mathcal{E}_2$ -ს გააჩნია ნებისმერი უსასრულო სიმძლავრის მოდელები). სინამდვილეში,  $\mathcal{E}'_2$ -ს გააჩნია მოდელები, რომელთა სიმძლავრე ზუსტად კონტინუუმია, მაგ.,  $\mathcal{C}_2(\mathbb{R})$ , მაგრამ ასევე შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ მას აქვს თვლადი მოდელები. ამგვარად, თეორია  $\mathcal{E}'_2$  შეიძლება აღმოჩნდეს სრული, მაგრამ მას უთუოდ აქვს ერთი და იმავე სიმძლავრის, მაგრამ არაიზომორფული მოდელები და, შესაბამი-

სად, ის არაკატეგორიულია.<sup>4</sup>

დღემდე  $\mathcal{E}'_2$ -ისთვის მხოლოდ ამოხსნადობის (გადანყვეტადობის) საკითხს აქვს განსაზღვრული პასუხი:

**თეორემა 5:** თეორია  $\mathcal{E}'_2$  არ არის ამოხსნადი (გადანყვეტადი), და ასეთივეა მისი ყველა თავსებადი გაფართოება.

ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ პეანოს არითმეტიკა (ფარდობითად) ინტერპრეტირებადია  $\mathcal{E}'_2$ -ში; იხ [25], გვ. 31-დან.

იმისთვის, რომ მივიღოთ თეორია  $\mathcal{E}''_2$ ,  $\mathcal{E}_2$ -ის სიმბოლიზმს ვტოვებთ უცვლელად, მაგრამ ვასუსტებთ  $\mathcal{E}_2$ -ის აქსიომათა სისტემას. კერძოდ, ჩვენ ვანაცვლებთ ელემენტარული უწყვეტობის აქსიომების უსასრულო კოლექციას,  $A13$ -ს, ერთი წინადადებით,  $A13'$ -ით, რომელიც ამ აქსიომებიდან ერთ-ერთის შედეგია. წინადადება გამოხატავს შემდეგ ფაქტს: თუ მონაკვეთი აერთებს ორ წერტილს, რომელთაგან ერთი მოცემული წრენირის შიგნითაა, ხოლო მეორე ამავე წრენირის გარეთ, მაშინ ის გადაკვეთს მოცემულ წრენირს; სიმბოლური ფორმით ეს ასე ჩაინერება:

$$A13'$$

$$\forall xyzx'z'u \exists y'[(ux \cong ux') \wedge (uz \cong uz') \wedge B(uxz) \wedge B(xyz) \rightarrow (uy \cong uy') \wedge B(x'y'z')]$$

აქსიომათა სისტემის შესუსტების შედეგად მრავალი წინადადება, რომლებიც ყალიბდება და არის ზოგადმართებული  $\mathcal{E}_2$ -ში, აღარ არის ზოგადმართებული  $\mathcal{E}''_2$ -ში.

4 ეს ბოლო შენიშვნები მიიღება ზოგადი მათემატიკური თეორემის (სკოლემ-ლოვენჰაიმის თეორემის) წყალობით, რომელიც მიესადაგება ყველა იმ თეორიას, რომელსაც აქვს იგივე ლოგიკური სტრუქტურა, რაც  $\mathcal{E}'_2$ -ს, სხვა სიტყვებით, ყველა იმ თეორიას, რომლებიც მიიღება სტანდარტული ფორმალიზების მქონე თეორიისგან ახალი ცვლადებისა (რომლებიც გაირბენენ სასრულ სიმრავლეებს) და ახალი ლოგიკური  $\mathcal{E}$  სიმბოლოს დამატებით და, შესაძლოა, აქსიომათა საწყისი სისტემის გაფართოებით. ამ ზოგადი თეორემის თანახმად, თუ თეორია  $\mathcal{T}$  არის აღწერილი კლასის თეორია, რომლის სიმბოლოთა ერთობლიობის სიმძლავრე არ აღემატება  $\beta$ -ს და მათემატიკური სისტემა  $\mathfrak{M}$  არის  $\mathcal{T}$ -ს სტანდარტული მოდელი, რომელსაც აქვს უსასრულო  $\alpha$  სიმძლავრე, მაშინ  $\mathfrak{M}$ -ს აქვს ნებისმიერი  $\gamma, \beta \leq \gamma \leq \alpha$  სიმძლავრის ქვესისტემა, რომელიც არის  $\mathcal{T}$ -ს სტანდარტული მოდელი. ხსენებული ზოგადი თეორემის დამტკიცება (რომელსაც მიაგნო ავტორმა) ამ სტატიის დაბეჭდვის მომენტისთვის (1959) არ არის გამოქვეყნებული; ის განსხვავდება, თუმცა მცირედით, სტანდარტული ფორმალიზაციის მქონე თეორიების შესახებ ანალოგიური თეორემის დამტკიცებისგან, რომელიც მოცემულია [26]-ში, გვ. 91-დან. სტანდარტული ფორმალიზაციის მქონე თეორიებისგან განსხვავებით, ამ კომენტარში განხილულ  $\mathcal{T}$  თეორიათაგან ზოგიერთს გააჩნია უსასრულო,  $\alpha$ , და ყველა უფრო ნაკლები სიმძლავრის მოდელი, მაგრამ არა უფრო მაღალი სიმძლავრის მოდელები; ამის ნიმუშია თეორია  $\mathcal{E}'_2$ , რომლისთვისაც  $\alpha$  არის კონტინუუმის სიმძლავრე; კერძოდ, ზოგ თეორიას აქვს მხოლოდ თვლადი მოდელები და, სინამდვილეში, ისინი არიან კატეგორიულნი. ასეთია თეორია, რომელიც მიიღება პეანოს არითმეტიკიდან იმავე გზით, რომლითაც  $\mathcal{E}'_2$  თეორია მიიღება  $\mathcal{E}_2$ -სგან; მაგრამ, ასევე, არსებობს თეორიები  $\mathcal{T}$ , რომლებსაც აქვთ ნებისმიერი უსასრულო სიმძლავრის მოდელები, ასეთია, მაგ., თეორია  $\mathcal{E}''_2$ , რომელსაც ვახსენებთ ამ თავის ბოლოს.

კერძოდ, ეს ეხება არსებობის თეორემებს, რომელთა დადგენა ველარ ხერხდება ე.წ. ელემენტარული გეომეტრიული აგებებით (კერძოდ, ფარგლისა და სახაზავის გამოყენებით), მაგ., თეორემა ნებისმიერი კუთხის სამ ტოლ ნაწილად გაყოფის შესახებ.

რაც შეეხება იმ მათემატიკურ საკითხებს, რომლებსაც ამ სტატიაში განვიხილავთ,  $\mathcal{E}_2''$ -ის შემთხვევაში სიტუაცია ზუსტად რომ საპირისპიროდ განსხვავდება  $\mathcal{E}_2'$ -ის შემთხვევისგან. იმ სამ საკითხს, რომლებიც  $\mathcal{E}_2'$ -ისთვის ღიაა, აქვს ძალიან მარტივი პასუხი  $\mathcal{E}_2''$ -ის შემთხვევაში. კერძოდ, პასუხი შეკითხვაზე  $\mathcal{E}_2''$ -ის წარმოდგენის შესახებ მოცემულია მომდევნო თეორემაში.

**თეორემა 6:** იმისთვის, რომ მოდელი  $\mathfrak{M}$  იყოს  $\mathcal{E}_2''$ -ის მოდელი, აუცილებელი და საკმარისია, რომ  $\mathfrak{M}$  იყოს დეკარტული სივრცის  $\mathcal{C}_2(\mathbb{F})$  იზომორფული, სადაც  $\mathbb{F}$  არის ევკლიდური ველი.

ეს თეორემა კარგად არის ცნობილი ლიტერატურაში. პირობის საკმარისობა მონმდება უშუალოდ; აუცილებლობის ნაწილი კი შეიძლება მიღებული იყოს ელემენტარულ-გეომეტრიული პროპორციების დახმარებით (როგორც ეს გავაკეთეთ თეორემა 1-ის დამტკიცებისას).

თეორემა 6-ის გამოყენებით მარტივად შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ თეორია  $\mathcal{E}_2''$  არასრულია, ხოლო მისი განმარტებიდან ვხედავთ, რომ ის სასრულად აქსიომატიზებადია.

უფრო რთულია  $\mathcal{E}_2''$ -ის ამოხსნადობის (გადაწყვეტადობის) საკითხი. [17]-ში მიღებული შედეგების შუქზე ავტორი გამოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითია; და მეტიც, ის ვარაუდობს, რომ სრულდება უფრო ძლიერი ფაქტი, კერძოდ ის, რომ  $\mathcal{E}_2$ -ის არცერთი სასრულად აქსიომატიზებადი ქვეთეორია არ არის ამოხსნადი. ეს ჰიპოთეზა მოგვიანებით იქნა დამტკიცებული მარტინ ციგლერის მიერ [31], [3]. ციგლერი ამტკიცებს თეორემას იმის შესახებ, რომ თუ ველების სასრულად აქსიომატიზებად პირველი რიგის თეორიას  $\mathcal{T}$  გააჩნია ერთი მაინც მოდელი შემდეგი სამიდან: (i) ალგებრულად ჩაკეტილი, (ii) ნამდვოლ-ჩაკეტილი, (iii)  $p$ -ადური რიცხვების ველი რაიმე მარტივი  $p$ -სთვის, მაშინ ის არის მემკვიდრეობითად ამოუხსნადი (გადაუწყვეტადი). ამ თეორემის შედეგად ის ღებულობს, რომ ევკლიდური ველების და პითაგორული ველების თეორია მემკვიდრეობითად ამოუხსნადია (გადაუწყვეტადი). ეს შედეგი გათვალისწინებულია [20]-ში. (შეგახსენებთ, რომ ველს  $\mathbb{K}$  ეწოდება ევკლიდური, თუ მისი ყოველი ელემენტისთვის  $a \in \mathbb{K}$ , ან  $a$  ან  $-a$  არის კვადრატი;  $\mathbb{K}$ -ს ეწოდება პითაგორული, თუ ნებისმიერი ორი კვადრატის ჯამი თვითონ არის კვადრატი.)

თუ შევთანხმდებით, რომ ელემენტარული გეომეტრიის წინადადებას (წინადადებას, რომელიც ჩამოყალიბებულია  $E_2$ -ში) ვუნოდოთ ზოგადმართებული, თუ ის ზოგადმართებულია  $E_2$ -ში და ვუნოდოთ ელემენტარულად დამტკიცებადი, თუ ის ზოგადმართებულია  $E_2''$ -ში, მაშინ სიტუაცია შემდეგნაირად შეიძლება აღინეროს: ჩვენ ვფლობთ ზოგად მათემატიკურ მეთოდებს იმის დასადგენად, არის თუ არა ელემენტარული გეომეტრიის მოცემული წინადადება ზოგადმართებული, მაგრამ არ არსებობს მეთოდი, რომლის საშუალებითაც დავადგენთ, არის თუ არა ეს წინადადება ელემენტარულად დამტკიცებადი.

$E_2$ -სა და  $E_2''$ -სი შორის სხვაობა ქრება, თუ შემოვიფარგლებით უნივერსალური წინადადებებით. კერძოდ, გვაქვს

**თეორემა 7:**  $E_2''$ -ში ჩამოყალიბებული უნივერსალური წინადადება ზოგადმართებულია  $E_2$ -ში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ზოგადმართებულია  $E_2''$ -ში.

ამის დასამტკიცებლად გავიხსენოთ, რომ ყოველი დალაგებული ველი შეგვიძლია გავაფართოოთ ნამდვილ-ჩაკეტილ ველამდე. მაშინ, თეორემა 1-ისა და თეორემა 6-ის გამო,  $E_2''$ -ის ყოველი მოდელი შეიძლება გაფართოვდეს  $E_2$ -ის მოდელამდე. შესაბამისად, ყველა უნივერსალური წინადადება, რომელიც ზოგადმართებულია  $E_2$ -ში, ზოგადმართებულია, ასევე,  $E_2''$ -ში; შებრუნებული ცხადია. (თეორემა 7-ის უფრო მარტივი დამტკიცება, სინამდვილეში ისეთიც, რომელიც დამოუკიდებელია თეორემა 1-ისგან, შეიძლება დაეყრდნოს ლემას, რომლის თანახმად, დალაგებული ველის ყოველი სასრული ქვესისტემა იზომორფულად შეიძლება ჩაიდგას ნამდვილ რიცხვთა დალაგებულ ველში.)

თეორემა 7 დარჩება სწორი, თუ  $E_2''$ -ის აქსიომათა სისტემიდან ამოვავდებთ A13'-ს (ეს თეორემა ემყარება კიდევ უფრო სუსტ აქსიომებსაც კი). ამგვარად, ვხედავთ, რომ  $E_2$ -ის ზოგადმართებული უნივერსალური წინადადებები მტკიცდება უწყვეტობის აქსიომის გარეშე. ეს შედეგი ვრცელდება იმ წინადადებებზეც, რომლებიც არ არიან უნივერსალურები, როდესაც ყალიბდებიან  $E_2$ -ში, მაგრამ, უხეშად რომ ვთქვათ, ხდებიან უნივერსალურები, როდესაც გამოიხატებიან დეკარტულ სივრცეში  $\mathbb{C}_2(\mathbb{F})$ .

თეორემა 3 და თეორემა 7-ის უშუალო შედეგის სახით ვღებულობთ:

**თეორემა 8:** თეორია  $E_2''$  ამოხსნადია თავისი უნივერსალური წინადადებების სიმრავლის მიმართ.

ეს ნიშნავს, რომ არსებობს ალგორითმული მეთოდი იმის გადასაწყვეტად, სრულდება თუ არა  $E_2''$ -ში ჩამოყალიბებული მოცემული უნივერსალური წინადადება ამ თეორიის ყველა მოდელში.


## LOGIC

შეგვეძლო გვემსჯელა  $\mathcal{E}_2$ ,  $\mathcal{E}_2''$ , და  $\mathcal{E}_2'''$ -თან დაკავშირებულ სხვა თეორიებზე; მაგ., თეორია  $\mathcal{E}_2'''$ -ზე, რომელსაც იგივე სიმბოლიზმი აქვს, რაც  $\mathcal{E}_2'$ -ს, და აქსიომათა იგივე სისტემა, რაც  $\mathcal{E}_2''$ -ს. იმის გადანყვეტა, ელემენტარული გეომეტრიის ამ რამდენიმე შესაძლო კონცეფციიდან რომელი უფრო ახლოა ისტორიულ ტრადიციასთან და ამ ცნების ყოველდღიურ გამოყენებასთან, უიმედოდ გამოიყურება და მოკლებულია ფართო ინტერესს. ავტორს მიაჩნია, რომ ამ რამდენიმე კონცეფციას შორის, ის კონცეფცია, რომელიც ხორცშესხმულია  $\mathcal{E}_2$ -ში, გამოირჩევა სიმარტივით, საფუძვლად დადებული ინტუიციის სიცხადით, ჰარმონიითა და თავისი შედეგების სიმძლავრით.



შენიშვნები აქსიომების შესახებ


A2. [შინაგანი ტრანზიტულობის აქსიომა შორისობისთვის].



$$\forall xyzu[B(xyu) \wedge B(yzu) \rightarrow B(xyz)]$$

A3. [გარე ბმულობის აქსიომა შორისობისთვის].


$$\forall xyzu[B(xyz) \wedge B(xyu) \wedge (x \neq y) \rightarrow B(xzu) \vee B(xuz)]$$



A7. [პაშის აქსიომა (გარე ფორმით)].

$$\forall txyzu \exists v[B(xtu) \wedge B(yuz) \rightarrow B(xvy) \wedge B(ztv)]$$

პაშის აქსიომა სიბრტყის შესახებ აცხადებს, რომ თუ წრფე კვეთს სამკუთხედის ერთ გვერდს და არ გადის სამკუთხედის წვეროებზე, მაშინ მან ასევე უნდა გადაკვეთოს სამკუთხედის ორი დარჩენილი გვერდიდან ერთ-ერთი. აქ ჩამოყალიბებული აქსიომა არის პაშის აქსიომის ე.წ. „გარე“ ფორმა, რომელიც შემდეგნაირად წაიკითხება: თუ  $\Delta xyu$  სამკუთხედისთვის  $z$  ნერტილი მდებარეობს  $uy$  მონაკვეთის გაგრძელებაზე  $y$ -დან  $u$ -ს მხარეს (ეს გამოსახულია  $B(yuz)$ -ით) და  $z$ -ზე გამავალი წრფე კვეთს  $xu$  გვერდს  $t$  ნერტილში ( $zt$ -ს მხრიდან „შიდა გვერდს“, რაც გამოსახულია  $B(xtu)$ -ით), მაშინ ის კვეთს  $xy$  გვერდს ( $zt$ -ს მხრიდან, „გარე გვერდს“) რაღაც  $v$  ნერტილში (რაც გამოსახულია  $\exists v[B(xvy) \wedge B(ztv)]$ -ით).




A8. [ევკლიდეს აქსიომა].

$$\forall txyzu \exists vw[B(xut) \wedge B(yuz) \wedge (x \neq u) \rightarrow B(xzv) \wedge B(xyw) \wedge B(wtv)]$$

ევკლიდეს აქსიომა აცხადებს, რომ  $\angle yxz$  კუთხის ყოველ შიდა  $t$  ნერტილზე შეიძლება გაივლოს წრფე — აქ:  $wv$  წრფე, რომელიც კვეთს ამ კუთხის ორივე

LOGIC


გვერდს, აქ:  $w$  და  $v$  ნერტილებში. ეს ევკლიდეს პარალელობის მეხუთე პოსტულატის ეკვივალენტურია.



A9. [ხუთი მონაკვეთის აქსიომა].

$$\forall xx'yy'zz'u'u' [(xy \cong x'y') \wedge (yz \cong y'z') \wedge (xu \cong x'u') \wedge (yu \cong y'u') \wedge (x \neq y) \wedge \wedge B(xyz) \wedge B(x'y'z') \rightarrow (zu \cong z'u')$$

ხუთი მონაკვეთის აქსიომა (არაგადაგვარებულ შემთხვევაში) აცხადებს, რომ თუ მოცემულია  $\Delta xzu$  და  $\Delta x'z'u'$  სამკუთხედები და  $xz, x'z'$  მონაკვეთების შიდა ნერტილები, შესაბამისად,  $y$  და  $y'$ , მაშინ შესაბამისი მონაკვეთების ტოლობიდან (რომლებიც სურათზე აღნიშნულია პარალელური შტრიხებით) შეგვიძლია დავასკვნათ დარჩენილ შესაბამის მონაკვეთებზე (რომლებიც სურათზე აღნიშნულია ჯვარედინი შტრიხებით). ეს აქსიომა, თავისი ხასიათით, ევკლიდურ გეომეტრიაში სამკუთხედების კონგრუენტულობის კარგად ცნობილი ნიშნების მსგავსია.




A10. [მონაკვეთის აგების აქსიომა].

$$\forall xyuv \exists z [B(xyz) \wedge (yz \cong uv)]$$

ამ აქსიომის ინტუიციური შინაარსი შემდეგში მდგომარეობს: მოცემული  $uv$  მონაკვეთისთვის შესაძლებელია ავაგოთ მისი კონგრუენტული მონაკვეთი, რომელიც იწყება წინასწარ მოცემულ რაიმე  $y$  ნერტილში და გადადებულია რაიმე წინასწარ დაფიქსირებული და  $y$ -ის მომცველი სხივის მიმართულებით. სხივი განსაზ-

ღვრულია სხივის საწყისი  $x$  წერტილით და წერტილით  $y$ . საძებნი მონაკვეთის მეორე ბოლო არის წერტილი  $z$ , რომლის არსებობაც მოთხოვნილია აქსიომით.



A11. [ქვედა 2-განზომილებიანი აქსიომა].


$$\exists xyz[\neg B(xyz) \wedge \neg B(yzx) \wedge \neg B(zxy)]$$

ქვედა 2-განზომილებიანი აქსიომა აცხადებს, რომ არსებობს სამი განსხვავებული, ერთ წრფეზე არამდებარე (არაკოლინეალური) წერტილი.

A12. [ზედა 2-განზომილებიანი აქსიომა].

$$\forall xyzuv[(xu \cong xv) \wedge (yu \cong yv) \wedge (zu \cong zv) \rightarrow B(xyz) \vee B(yzx) \vee B(zxy)]$$

ზედა 2-განზომილებიანი აქსიომა აცხადებს, რომ ნებისმიერი სამი წერტილი (აქ:  $x, y, z$ ), რომლებიც დაფიქსირებული ორი წერტილიდან (აქ:  $u, v$ ) თანაბრად არიან დაშორებული, ერთ წრფეზე მდებარეობს (კოლინეარულია).



## მთარგმნელის შენიშვნები

- 1) საკითხის შესახებ ისტორიულად უფრო ადრინდელი ნაშრომებიდან ყველაზე ახლოს, თავიანი სულისკვეთებით, დგანან Pieri-სა და Veblen-ის ნაშრომები [14],[28].
- 2) ამ ნაშრომში წარმოდგენილი  $\mathcal{E}_2$  თეორიის აქსიომათა სისტემა 1965 წელს გაამარტივა Gupta-მ თავისი სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში [7]. კერძოდ, მან აჩვენა, რომ წარმოდგენილი სისტემის  $A1$  და  $A3$  აქსიომები გამოიყვანება დანარჩენებიდან; მოლოდინის საპირისპიროდ, ეს გამოყვანები არც ისე მარტივი აღმოჩნდა, ხოლო აქსიომა  $A3$ -ის შემთხვევაში — საკმაოდ ჩახლართულიც კი.
ვექტორებზე დაფუძნებულ სემანტიკაში ლექსიკურიდან კომპოზიციურ სემანტიკაზე გადასვლა მოითხოვს პასუხს ორ რთულ კითხვაზე: (i) რა სახისაა

---


<sup>1</sup> თარგმანი შესრულებულია შემდეგი პუბლიკაციის მიხედვით:  
Phong Le and Willem Zuidema, Compositional Distributional Semantics with Long Short Term Memory, Martha Palmer, Gemma Boleda and Paolo Rosso (editors). *Proceedings of the Fourth Joint Conference on Lexical and Computational Semantics (\*SEM 2015)*, June 4-5, 2015, Denver, Colorado. The \*SEM 2015 Organizing Committee, 2015, 10-19.

კომპოზიციის ფუნქციები (იმის გათვალისწინებით, რომ ცვლადის დაბმისთვის ლამბდა აღრიცხვა აღარ გამოიყენება); და (ii) როგორ ვისწავლოთ მონაცემებისგან ამ ფუნქციების პარამეტრები (თუკი მათ ასეთი პარამეტრები აქვთ)? პირველი შეკითხვის პასუხად ფუნქციათა რამდენიმე კლასი იქნა შემოთავაზებული, მათ შორის მარტივი ნრფივი ფუნქციები, როგორებიცაა ვექტორული შეკრება (Mitchell and Lapata, 2009), არანრფივი ფუნქციები, რომლებსაც მრავალშრიანი ნეირონული ქსელები განსაზღვრავენ (Socher et al., 2010), და ვექტორულ მატრიცათა გამრავლება და ტენზორული ნრფივი ასახვა (Baroni et al.). მატრიცებსა და ტენზორებზე დაფუძნებული ფუნქციების უპირატესობა არის ის, რომ ისინი ფორმალურ სემანტიკასთან გარკვეული თვალსაზრისით პირდაპირი შედარების საფუძველს იძლევიან, თუმცა მრავალშრიანი ნეირონული ქსელები უფრო მიმზიდველი ალტერნატივაა, რადგან გააქტიურების ისეთი არანრფივი ფუნქციებით, როგორიცაა სიგმოიდი, მათ შეუძლიათ ნებისმიერი უწყვეტი ფუნქციის აპროქსიმაცია (Cybenko, 1989).

მეორე შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობისას კიდევ უფრო ცხადი ხდება იმ მიდგომათა უპირატესობა, რომლებიც ნეირონული ქსელების არქიტექტურას ეფუძნება. ასეთებია, მაგალითად, რეკურსიული ნეირონული ქსელის (RNN) მოდელი (Socher et al., 2013b) და კონვოლუციური ნეირონული ქსელის მოდელი (Kalchbrenner et al., 2014). ამ პარადიგმის მოდელებს შეუძლიათ წარმატებით გამოიყენონ უკუგავრცელებაზე დაფუძნებული დასწავლის ზოგადი პროცედურები და, ღრმა დასწავლის განვითარებასთან ერთად, გავარჯიშების შემდგომი გაუმჯობესებისთვის გამოსადეგი სხვადასხვა ეფექტური ალგორითმი თუ მეთოდი.

შემადგენელ ნაწილთა გარჩევაში წარმატებული გამოყენების შემდეგ (Socher et al., 2011b), RNN-ის მოდელის გაფართოებათა ორი კლასი იქნა შემოთავაზებული. ერთ კლასს წარმოადგენს მოდელის კომპოზიციურობის გაძლიერება ტენზორთა ნამრავლის გამოყენებით (Socher et al., 2013b) ან RNN-ების ჰორიზონტალური გადაბმა ქსელის გასაღრმავებლად (Irsoy and Cardie, 2014). მეორე კლასი აფართოებს ქსელის ტოპოლოგიას უფრო ფართო სპექტრის ამოცანების შესასრულებლად, როგორებიცაა დამოკიდებულებათა გარჩევის ამოცანა (Le and Zuidema, 2014a) და განწყობის კონტექსტზე დამოკიდებული ანალიზი (Paulus et al. 2014).

# COMPUTATION



**ნახ. 1.** მრავალშრიანი ნეირონული ქსელი (მარცხნივ) და რეკურსიული ნეირონული ქსელი (მარჯვნივ). ჩანაცვლების ვექტორები გამოტოვებულია სიმარტივისთვის.

ჩვენი იდეაა RNN-ის მოდელის გაფართოება კომპოზიციურობის გასაუმჯობესებლად. მოტივაცია ისაა, რომ რეკურენტული ნეირონული ქსელების გავარჯიშების მსგავსად, RNN-ების ღრმა ხეებზე გავარჯიშება შეიძლება წაანყდეს გაქრობადი გრადიენტის პრობლემას (Hochreiter et al., 2001), რაც ნიშნავს, რომ ფოთლოვან კვანძებში გადაცემული შეცდომები ექსპონენციურად პატარავდება. გარდა ამისა, ფოთლიდან ხის წვეროში გაგზავნილი ინფორმაცია შეიძლება გაბუნდოვანდეს, თუ ფოთოლსა და წვეროს შორის მანძილი დიდია და, ამდენად, წარმოიშვას დისტანციურ დამოკიდებულებათა ასახვის პრობლემა. ამ მიზეზთა გამო, რეკურენტული რეკურსიული ქსელების კვლევებიდან ვსესხულობთ ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერების (long short-term memory, LSTM) არქიტექტურას (Hochreiter და Schmidhuber, 1997). მთავარი იდეაა, გარჩევის ხეში დაბლა მდებარე ინფორმაცია შევინახოთ მეხსიერების უჯრედში და გამოვიყენოთ გაცილებით გვიან გარჩევის ხის უფრო მაღლა მდებარე კვანძებში, მეხსიერების უჯრედებში მთელი მეხსიერების რეკურსიულად ქვევიდან ზევით (bottom-up) დამატებით. ამ გზით ის შეცდომები, რომლებიც სტრუქტურაში უკუმიმართულებით ვრცელდება, არ ქრება. ამავე დროს, ფოთლოვანი კვანძების ინფორმაცია ჯერ კიდევ დაცულია და შეიძლება პირდაპირ გამოვიყენოთ იერარქიაში უფრო მაღლა მდებარე ნებისმიერ კვანძში. ამ კომპოზიციას განწყობის ანალიზისთვის ვიყენებთ. ექსპერიმენტული შედეგები აჩვენებს, რომ ჩვენი კომპოზიცია უკეთეს შედეგს იძლევა, ვიდრე ტრადიციული, ნეირონულ ქსელებზე დაფუძნებული კომპოზიცია.

წინამდებარე სტატია შემდეგნაირადაა ორგანიზებული: თავდაპირველად, მე-2 ნაწილში მოკლედ ვსაუბრობთ ნეირონულ ქსელებზე, მათ შორის მრავალშრიან



ნეირონულ ქსელებზე, რეკურსიულ ნეირონულ ქსელებზე, რეკურენტულ ნეირონულ ქსელებსა და ხანგრძლივმოქმედ ხანმოკლე მეხსიერებაზე. შემდეგ, მე-3 ნაწილში შემოგვაქვს ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერება რეკურსიული ნეირონული ქსელებისთვის. მის გამოყენებას განწყობის ანალიზისთვის განვიხილავთ მე-4 ნაწილში. მე-5 ნაწილში ნაჩვენებია ჩვენი ექსპერიმენტები.

## 2 საფუძვლები


### 2.1 მრავალშრიანი ნეირონული ქსელი

მრავალშრიანი ნეირონულ ქსელებში (multi-layer neural network, MLN) ნეირონები შრეებადაა ორგანიზებული (იხ. ნახ. 1, მარცხნივ).  $i$  შრეზე მდებარე ნეირონი სიგნალს იღებს  $i - 1$  შრეზე მდებარე ნეირონებისგან და მის შედეგს გადასცემს  $i + 1$  შრეზე მდებარე ნეირონს.<sup>2</sup> გამოთვლა მოიცემა ფორმულით

$$y_i = g(W_{i-1,i} y_{i-1} + b_i),$$

სადაც

- ნამდვილი ვექტორი  $y_i$  შეიცავს  $i$  შრეზე მდებარე ნეირონების გააქტიურებებს;
- $W_{i-1,i} \in \mathbb{R}^{|y_i| \times |y_{i-1}|}$  არის  $i - 1$  შრის  $i$  შრესთან კავშირთა წონების მატრიცა;
- $b_i \in \mathbb{R}^{|y_i|}$  არის  $i$  შრის ნეირონების ჩანაცვლებათა ვექტორი (vector of biases);



ნახ. 2. გააქტიურების ფუნქციები:  $\text{sigmoid}(x) = \frac{1}{1+e^{-x}}$ ,  $\text{tanh}(x) = \frac{e^{2x}-1}{e^{2x}+1}$ ,  
 $\text{softsign}(x) = \frac{x}{1+|x|}$ .

<sup>2</sup> ეს გამარტივებული განსაზღვრაა: პრაქტიკაში ნებისმიერ  $j < i$  შრეს შეუძლია დაუკავშირდეს  $i$  შრეს.

## COMPUTATION

•  $g$  არის გააქტიურების ფუნქცია, როგორებიცაა, მაგალითად, სიგმოიდი (sigmoid), ჰიპერბოლური ტანგენსი (tanh) ან softsign (იხ. ნახ. 2).

კლასიფიკაციის ამოცანებისთვის ქსელს ზედა შრედ ემატება სოფტმაქსის (softmax) შრე და ალბათობა იმისა, რომ შემავალ პარამეტრ  $\mathbf{x}$ -ს მიენიჭება კლასი  $c$ , გამოითვლება ფუნქციით

$$Pr(c|\mathbf{x}) = \text{softmax}(c) = \frac{e^{u(c, \mathbf{y}_{\text{top}})}}{\sum_{c' \in C} e^{u(c', \mathbf{y}_{\text{top}})}}, \quad (1)$$

სადაც

- $[u(c_1, \mathbf{y}_{\text{top}}), \dots, u(c_{|C|}, \mathbf{y}_{\text{top}})]^T = \mathbf{W}_{\mathbf{y}_{\text{top}}} + \mathbf{b}$ ;
- $C$  არის ყველა შესაძლო კლასის სიმრავლე;
- $\mathbf{W} \in \mathbb{R}^{|C| \times |\mathbf{y}_{\text{top}}|}$  არის წონის მატრიცა;
- $\mathbf{b} \in \mathbb{R}^{|C|}$  არის ჩანაცვლებათა ვექტორი.

MLN-ს გავარჯიშება არის ობიექტური ფუნქციის,  $J(\theta)$ -ის, მინიმიზაცია, სადაც  $\theta$  არის პარამეტრთა სიმრავლე (კლასიფიკაციისთვის  $J(\theta)$  ხშირად უარყოფითი ლოგარითმული დასაჯერობაა). უკუგავრცელების ალგორითმის (backpropagation algorithm, Rumelhart et al., 1988) მეშვეობით შესაძლებელია  $\partial J / \partial \theta$  გრადიენტის ეფექტურად გამოთვლა. ამგვარად, გრადიენტული დაშვების მეთოდი გამოიყენება  $J$ -ს მინიმიზაციისთვის.

## 2.2 რეკურსიული ნეირონული ქსელი


რეკურსიული ნეირონული ქსელი (RNN) (Goller and Küchler, 1996) არის MLN, სადაც მოცემულ ხის სტრუქტურაში თითოეულ შიგა კვანძზე რეკურსიულად, ქვევიდან ზევით ვიყენებთ წონათა ერთსა და იმავე მატრიცას. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მუშაობს RNN, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: დავუშვათ, რომ გვაქვს შემადგენელი (constituent), რომლის გარჩევის ხეა  $(\mathbf{p}_2 (\mathbf{p}_1 \mathbf{x} \mathbf{y}) \mathbf{z})$  (ნახ. 1, მარჯვნივ), და  $\mathbf{x}, \mathbf{y}, \mathbf{z} \in \mathbb{R}^d$ , შესაბამისად, არის ვექტორული წარმოდგენები სიტყვებისა  $\mathbf{x}, \mathbf{y}$  და  $\mathbf{z}$ . მშობლის ვექტორის გამოსათვლელად ვიყენებთ ნეირონულ ქსელს, რომელიც შედგება წონების მატრიცისგან  $\mathbf{W}_1 \in \mathbb{R}^{d \times d}$  მარცხენა შვილებისთვის და წონების მატრიცისგან  $\mathbf{W}_2 \in \mathbb{R}^{d \times d}$  მარჯვენა შვილებისთვის. გამოთვლა ხდება ქვევიდან ზევით. მაშასადამე, ჯერ ვითვლით  $\mathbf{p}_1$ -ს

$$\mathbf{p}_1 = g(\mathbf{W}_1 \mathbf{x} + \mathbf{W}_2 \mathbf{y} + \mathbf{b}), \quad (2)$$

სადაც  $\mathbf{b}$  არის ჩანაცვლებათა ვექტორი და  $g$  არის გააქტიურების ფუნქცია.  $\mathbf{p}_1$ -ის გამოთვლის შემდეგ გადავდივართ ერთი დონით მაღლა და ვითვლით  $\mathbf{p}_2$ -ს:

$$\mathbf{p}_2 = g(\mathbf{W}_1 \mathbf{p}_1 + \mathbf{W}_2 \mathbf{z} + \mathbf{b}). \quad (3)$$

ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ წვეროს არ მივაღწევთ.



**ნახ. 3.** მარტივი რეკურენტული ნეირონული ქსელი (მარცხნივ) და ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერება (მარჯვნივ). ჩანაცვლების ვექტორები გამოტოვებულია სიმარტივისთვის.

MLN-ს გავარჯიშების მსგავსად, RNN-ს გავარჯიშებაც გრადიენტული დაშვების მეთოდს იყენებს ობიექტური ფუნქციის  $J(\theta)$ -ის მინიმიზაციისთვის. გრადიენტი  $\partial J / \partial \theta$  ეფექტურად გამოითვლება სტრუქტურის გავლით უკუგავრცელების ალგორითმის მეშვეობით (Goller and Küchler, 1996).

RNN მოდელი და მისი გაფართოებები ნარმატებით იქნა გამოყენებული პრობლემათა ფართო სპექტრზე: გარჩევის პრობლემებით დაწყებული (შემადგენელთა გარჩევა (Socher et al., 2013a), დამოკიდებულების გარჩევა (Le and Zuidema, 2014a)), კლასიფიკაციის (მაგ., განწყობის ანალიზი (Socher et al., 2013b; Irsoy and Cardie, 2014)) და სემანტიკურ როლთა მონიშვნის პრობლემებით (Le and Zuidema, 2014b) დამთავრებული.

### 2.3 რეკურენტული ქსელები და ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერება

ნეირონული ქსელი რეკურენტულია, თუ მას თავის სტრუქტურაში, სულ მცირე, ერთი რგოლი მაინც აქვს. ელმანის (Elman 1990) მიერ შემოღებული მარტივი რეკურენტული ნეირონული ქსელი (SRN, იხ. ნახ. 3, მარცხნივ) და მისი გაფართოებები გამოიყენება ბუნებრივი ენების დამუშავების სფეროში მიმდევრობასთან დაკავშირებული ისეთი პრობლემებისთვის, როგორებიცაა მანქანური თარგმანი (Sutskever et al., 2014) და ენის მოდელირება (Mikolov et al., 2010).

SRN-ში შემავალი მონაცემი  $x_t$  ქსელს მიეწოდება დროის თითოეულ  $t$  მომენტში. ფარული შრე  $h$ , რომელსაც აქვს აქტივაცია  $h_{t-1}$  ზუსტად იმ მომენტამდე, როცა  $x_t$  შემოდის, თამაშობს მეხსიერების საწყობის როლს, რომელიც მთელ ისტორიას ( $x_0, \dots, x_{t-1}$ ) იტევს. როდესაც  $x_t$  შემოდის, ფარული შრე აახლებს თავის აქტივაციას შემდეგნაირად:

$$h_t = g(W_x x_t + W_h h_{t-1} + b)$$

სადაც  $W_x \in \mathbb{R}^{[h] \times [x_t]}$ ,  $W_h \in \mathbb{R}^{[h] \times [h]}$ , არიან ნონის მატრიცები,  $b \in \mathbb{R}^{[h]}$  არის ჩანაცვლების ვექტორი, და  $g$  არის გააქტიურების ფუნქცია.

ამგვარად, ქსელის ეს მოდელი თეორიულად შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ალბათობების შესაფასებლად, რომლებიც ხანგრძლივ ისტორიებზეა დამოკიდებული. გრადიენტების გამოთვლა ეფექტურად ხდება დროში უკუგავრცელების ალგორითმის საშუალებით (Werbos, 1990). თუმცა, პრაქტიკაში, რეკურენტული ნეირონული ქსელების გავარჯიშება გრადიენტული დაშვების მეთოდით საკმაოდ ძნელია, რადგან გრადიენტები  $\partial J_t / \partial h_j$  ( $j \leq t$ ,  $J_t$  არის ობიექტური ფუნქცია  $t$  დროის მომენტში) სწრაფად ქრება უკუგავრცელების რამდენიმე ბიჯის შემდეგ (Hochreiter et al., 2001). გარდა ამისა, ძნელია დისტანციური დამოკიდებულებების ასახვა, ანუ შედეგი დროის  $t$  მომენტში დამოკიდებულია ზოგ მოვლენაზე, რომლებიც ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ამ პრობლემიდან ერთ-ერთი გამოსავალი, რომელიც ჰობრაიტერმა და შმიდჰუბერმა (Hochreiter და Schmidhuber, 1997) შემოგვთავაზეს და გერსმა (Gers, 2001) გააუმჯობესა, არის ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერება.

**ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერება.** ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერების (LSTM) არქიტექტურის მთავარი იდეაა შეინარჩუნოს ყველა იმ

შემავალი მონაცემის მეხსიერება, რომელიც დროთა განმავლობაში მიიღო ფარულმა შრემ. შენარჩუნება ხდება ფარული შრის ყველა შემავალი მონაცემის მეხსიერების უჯრედში დამატების გზით. შედეგად, დროში უკუგავრცელებული შეცდომები არ ქრება, ძალიან დიდი ხნის წინ მიღებული შემავალი მონაცემები მეტ-ნაკლებად მაინც შეინარჩუნებულია და მათ ქსელის შედეგის გამოთვლაში გარკვეული როლის თამაში შეუძლიათ (იხ. ილუსტრაცია (Graves 2012, თავი 4)-ში). ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერების უჯრედი (იხ. ნახ. 3, მარჯვნივ) შედგება მეხსიერების  $c$  უჯრედისგან, შეყვანის  $i$  გეითისგან, დავიწყების  $f$  გეითისგან და გამომავალი  $o$  გეითისგან. ამ უჯრედში მიმდინარე გამოთვლები ქვემოთაა მოცემული:

$$i_t = \sigma(W_{xi}x_t + W_{hi}h_{t-1} + W_{ci}c_{t-1} + b_i)$$

$$f_t = \sigma(W_{xf}x_t + W_{hf}h_{t-1} + W_{cf}c_{t-1} + b_f)$$

$$c_t = f_t \odot c_{t-1} + i_t \odot \tanh(W_{xc}x_t + W_{hc}h_{t-1} + b_c)$$

$$o_t = \sigma(W_{xo}x_t + W_{ho}h_{t-1} + W_{co}c_t + b_o)$$

$$h_t = o_t \odot \tanh(c_t)$$

სადაც  $\sigma$  არის სიგმოიდ-ფუნქცია;  $i_t, f_t, o_t$  არის შესაბამისი გეითების შედეგები (ანუ აქტივაციები);  $c_t$  არის მეხსიერების უჯრედის მდგომარეობა;  $\odot$  აღნიშნავს ელემენტებად გამრავლების ოპერატორს;  $W$ -ები და  $b$ -ები, შესაბამისად, წონის მატრიცები და ჩანაცვლების ვექტორებია.


იმის გამო, რომ სიგმოიდ-ფუნქციის შედეგები (0, 1) არეშია (იხ. ნახ. 2), ამ გეითების აქტივაციები შესაძლებელია ნორმალიზებულ წონებად ჩაითვალოს. ამიტომ, ინტუიციურად, ქსელს შეუძლია დაისწავლოს შემავალი გეითის გამოყენება, რათა გადანყვიტოს, თუ როდის უნდა დაიმასხოვროს ინფორმაცია, და, ანალოგიურად, დაისწავლოს გამომავალი გეითის გამოყენება, რათა გადანყვიტოს, თუ როდის უნდა მისწვდეს იმ მეხსიერებას. დავიწყების გეითი, საბოლოოდ, მეხსიერების გადატვირთვას ემსახურება.

### 3 ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერება RNN-ში

ამ ნაწილში შემოგვაქვს ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერების (LSTM) გაფართოება RNN-ის მოდელზე (იხ. ნახ. 4). RNN-ის უმთავრესი მახასიათებელია მშობლის ვექტორის გამოთვლისთვის ორი შვილიდან მიღებული ინფორმაციის იერარქიულად კომბინირება; ჩვენი იდეაა იმგვარად გავაფართოოთ LSTM, რომ

# COMPUTATION

გამოიყენებოდეს არა მხოლოდ თითოეული შვილის გამომავალი მნიშვნელობა, არამედ მათი მეხსიერების უჯრედების შიგთავსიც. ამგვარად, ქსელს ექნება შესაძლებლობა შეინახოს ინფორმაცია, როდესაც ამუშავებს გარჩევის ხეში დაბლა მდებარე შემადგენლებს, და ის ხელმისაწვდომი გახადოს მაშინ, როდესაც დაამუშავებს გარჩევის ხეში მაღლა მდებარე შემადგენლებს.



ნახ. 4. ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერება რეკურსიული ნეირონული ქსელისთვის

სიმარტივის ვიგულისხმობთ რომ მშობელ  $p$  კვანძს ჰყავს ორი შვილი  $a$  და  $b$ .<sup>3</sup> LSTM-ს  $p$ -ზე აქვს შეყვანის ორი გეითი  $i_1, i_2$  და დავიწყების ორი გეითი  $f_1, f_2$  ორი შვილისთვის. ამ LSTM-ში მიმდინარე გამოთვლები შემდეგია:

$$\begin{aligned}
 i_1 &= \sigma(W_{i1}x + W_{i2}y + W_{ci1}c_x + W_{ci2}c_y + b_i) \\
 i_2 &= \sigma(W_{i1}y + W_{i2}x + W_{ci1}c_y + W_{ci2}c_x + b_i) \\
 f_1 &= \sigma(W_{f1}x + W_{f2}y + W_{cf1}c_x + W_{cf2}c_y + b_f) \\
 f_2 &= \sigma(W_{f1}y + W_{f2}x + W_{cf1}c_y + W_{cf2}c_x + b_f) \\
 c_p &= f_1 \odot c_x + f_2 \odot c_y + g(W_{c1}x \odot i_1 + W_{c2}y \odot i_2 + b_c) \\
 o &= \sigma(W_{o1}x + W_{o2}y + W_{co}c + b_o) \\
 p &= o \odot g(c_p)
 \end{aligned}$$


სადაც  $u$  და  $c_u$  არიან შესაბამისად გამომავალი მნიშვნელობა და მეხსიერების

3  $n$ -ადგილიანი ხეებისთვის განზოგადება ტრივიალურია.

უფრედის მდგომარეობა  $\mathbf{u}$  კვანძში;  $\mathbf{i}_1, \mathbf{i}_2, \mathbf{f}_1, \mathbf{f}_2, \mathbf{o}$  არიან შესაბამისი გეითების აქტივაციები;  $\mathbf{W}$ -ები და  $\mathbf{b}$ -ები არიან ნონების მატრიცები და ჩანაცვლების ვექტორები;  $g$  არის გააქტიურების ფუნქცია.

ინტუიციურად, შემავალი გეითი  $\mathbf{i}_j$  საშუალებას აძლევს LSTM-ს მშობლის კვანძში გადანყვიტოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გამომავალი მნიშვნელობა მის  $j$ -ურ შვილზე. თუ იგი მნიშვნელოვანია, შემავალ გეით  $\mathbf{i}_j$ -ს ექნება აქტივაცია 1-თან ახლოს. ამავე დროს, LSTM დავინყების გეითის  $\mathbf{f}_j$ -ს გამოყენებით აკონტროლებს, თუ რა რაოდენობის ინფორმაცია უნდა დაემატოს მის მეხსიერებას  $j$ -ური შვილის მეხსიერებიდან.

თითოეული შვილისთვის ერთი შემავალი გეითის და ერთი დავინყების გეითის გამოყენება ხანგრძლივმოქმედ ხანმოკლე მეხსიერებას მოქნილობას ჰმატებს მეხსიერების შენახვასა და კომპოზიციის გამოთვლაში. მაგალითად, როცა რთული წინადადება შეიცავს მთავარ და დამოკიდებულ ნაწილებს, შეიძლება სასარგებლო იყოს, თუ მაღალ დონეზე გადაეცემა ინფორმაცია მხოლოდ ძირითადი ნაწილის შესახებ. ეს შეიძლება მიღწეულ იქნას იმით, რომ დამოკიდებული ნაწილის შესაბამისი შვილი-კვანძის შემავალ და დავინყების გეითებზე დაბალი მნიშვნელობები გვექონდეს, ხოლო მთავარი ნაწილის შესაბამისი შვილი-კვანძის გეითებზე კი მაღალი. უფრო საინტერესოა ის, რომ ამ LSTM-ს შეუძლია შესაბამისი შემავალი გეითის გააქტიურებით შვილს ნება დართოს, მიიღოს მონაწილეობა კომპოზიციის გამოთვლაში, მაგრამ ამავე დროს იგნორირება გაუკეთოს შვილის მეხსიერებას შესაბამისი დავინყების გეითის დეაქტივაციით. ეს ხდება მაშინ, როდესაც შვილის მიერ მონოდებული ინფორმაცია მხოლოდ დროებითაა მნიშვნელოვანი.



ნახ. 5. RNN მოდელი (მარცხნივ) და LSTM-RNN მოდელი (მარჯვნივ) განწყობის ანალიზისთვის.

## 4 LSTM-RNN მოდელი განწყობის ანალიზისთვის<sup>4</sup>

ამ ნაწილში შემოვიღებთ მოდელს განწყობის ანალიზისთვის (sentiment analysis), რომელშიც გამოვიყენებთ განხილულ ხანგრძლივმოქმედ ხანმოკლე მეხსიერებას. ჩვენი მოდელი, სახელწოდებით LSTM-RNN (long short-term memory recursive neural network), არის ტრადიციული RNN-ის მოდელის გაფართოება (იხ. ნაწილი 2.2), სადაც ტრადიციული კომპოზიციის  $g$  ფუნქციები (2)-(3) განტოლებებში იცვლება ჩვენ მიერ შემოთავაზებული ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერებით (იხ. ნახ. 5). ფრაზის ან სიტყვის შესაბამისი კვანძის თავზე, თუ მისი განწყობის კლასი (მაგალითად, დადებითი, უარყოფითი ან ნეიტრალური) მოცემულია, ვამატებთ სოფტმაქსის შრეს (იხ. განტოლება 1), რათა გამოთვალოთ მისთვის კლასის მინიჭების ალბათობა.

სიტყვების ვექტორული წარმოდგენები შეიძლება იყოს ან შემთხვევით ინიციალიზებული, ან წინასწარ გავარჯიშებული. ნებისმიერი  $w$  ფოთლის მეხსიერება, ანუ  $c_w$ , არის 0.

ირსოის და კარდის (Irsoy და Cardie 2014) მსგავსად, ჩვენც ვასუსტებთ ბმას ფოთლოვან კვანძებსა და შიდა კვანძებს შორის: წონის მატრიცის ერთი სიმრავლე გამოიყენება ფოთლოვანი კვანძებისთვის, სხვა სიმრავლე კი შიდა კვანძებისთვის. ამდენად, თუ  $d_w$  და  $d$ , შესაბამისად, არიან სიტყვების ჩართვების (ფოთლოვანი კვანძების) და ფრაზების ვექტორული წარმოდგენების (შიდა კვანძების) განზომილებები, ყველა წონის მატრიცას ფოთლოვანი კვანძიდან შიდა კვანძამდე აქვს რიგი  $d \times d_w$  და ყველა წონის მატრიცას შიდა კვანძიდან სხვა შიდა კვანძამდე აქვს რიგი  $d \times d$ .

**გავარჯიშება.** ამ მოდელის გავარჯიშება ნიშნავს შემდეგი ობიექტური ფუნქციის მინიმიზებას, რომელიც წარმოადგენს ჯვარედინ ენტროპიას სავარჯიშო წინე  $J(\theta) = -\frac{1}{|D|} \sum_{s \in D} \sum_{p \in S} \log Pr(c_p | p) + \frac{\lambda}{2} \|\theta\|^2$ , რმის რეგულარიზაციის ტერმს:

სადაც  $\theta$  პარამეტრთა სიმრავლეა,  $c_p$  არის  $p$  ფრაზის განწყობის კლასი,  $p$  არის  $p$ -ს შესაბამისი კვანძის ვექტორული წარმოდგენა,  $Pr(c_p | p)$  გამოითვლება სოფტმაქს ფუნქციით, ხოლო  $\lambda$  რეგულარიზაციის პარამეტრია. RNN-ის

<sup>4</sup> ხანმოკლე ხანგრძლივმოქმედი მეხსიერების არქიტექტურა უკვე იყო გამოყენებული განწყობის ანალიზისთვის, იხ., მაგალითად, <http://deeplearning.net/tutorial/lstm.html>-ში განსაზღვრული მოდელი. ჩვენგან დამოუკიდებლად, (Tai et al. 2015)-ში და (Zhu et al. 2015)-ში შემოღებულ იქნა ჩვენი მოდელის მსგავსი მოდელები ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მეხსიერების და რეკურსიული ნეირონული ქსელის გამოყენებით.



გავარჯიშების მსგავსად, ვიყენებთ მინი-პაკეტების გრადიენტული დაშვების მეთოდს, რათა მინიმუმამდე შემცირდეს  $J$ , სადაც გრადიენტი  $\partial J / \partial \theta$  ეფექტურად ითვლება სტრუქტურაში უკუგავრცელების მეშვეობით (Goller and Küchler, 1996). თითოეული პარამეტრის დასწავლის მაჩვენებლის ავტომატურად გასაახლებლად ვიყენებთ AdaGrad მეთოდს (Duchi et al., 2011).

### 4.1 სირთულე

ჩვენ ვაანალიზებთ RNN და LSTM-RNN მოდელების სირთულეებს წინსვლის ფაზაში, ანუ შიდა კვანძებისთვის ვექტორული წარმოდგენების და კლასიფიკაციის ალბათობების გამოთვლისას. სირთულეები უკუსვლის ფაზაში, ანუ  $\partial J / \partial \theta$  გრადიენტების გამოთვლისას, შეიძლება ანალოგიურად გაანალიზდეს.

ორი მოდელის სირთულეებს დომინირებს მატრიცა-ვექტორთა გამრავლების ჩატარებული ოპერაციები. ვინაიდან განწყობის კლასთა რაოდენობა ძალიან მცირეა  $d$  -სთან და  $d_w$  -სთან შედარებით (5 ან 2 ჩვენს ექსპერიმენტებში), ჩვენ მხოლოდ იმ მატრიცა-ვექტორთა გამრავლებას განვიხილავთ, რომლებიც შიდა კვანძებზე ვექტორული წარმოდგენების გამოსათვლელად გამოიყენება.

დავუშვათ, რომ  $N$  სიტყვისაგან შედგენილი წინადადების გარჩევის ხე ბინარიზებულია ყოველგვარი უნარული ტოტის გარეშე (როგორც ეს ხდება მონაცემთა იმ სიმრავლეში, რომელსაც ჩვენს ექსპერიმენტებში ვიყენებთ). მაშინ მასში გვექნება  $N - 1$  შიდა კვანძი,  $N$  ცალი ბმული ფოთლოვანი კვანძებიდან შიდა კვანძებისკენ და  $N - 2$  ცალი ბმული შიდა კვანძებიდან სხვა შიდა კვანძებისკენ. შედეგად, RNN მოდელის სირთულე წინსვლის ფაზაში დაახლოებით იქნება

$$N \times d \times d_w + (N - 2) \times d \times d,$$

ხოლო LSTM-RNN მოდელის სირთულე დაახლოებით იქნება

$$N \times 6 \times d \times d_w + (N - 2) \times 10 \times d \times d + (N - 1) \times d \times d.$$

თუ  $d_w \approx d$ , მაშინ LSTM-RNN მოდელის სირთულე დაახლოებით 8.5-ჯერ მაღალია, ვიდრე RNN მოდელის სირთულე.


ჩვენს ექსპერიმენტებში ეს განსხვავება არ ქმნის პრობლემას, რადგან LSTM-RNN მოდელის გავარჯიშება და შეფასება ძალიან სწრაფად ხდება: თანამედროვე კომპიუტერის ერთ ბირთვზე დაგვჭირდა დაახლოებით 10 წუთი მოდელის გასავარჯიშებლად ( $d = 50, d_w = 100$ ) 8544 წინადადებაზე და დაახლოებით 2 წამი მის შესაფასებლად 2210 წინადადებაზე.

# COMPUTATION

## 5 ექსპერიმენტები

### 5.1 მონაცემთა სიმრავლე

ჩვენ გამოვიყენეთ სტენფორდის განწყობის ხეთა ბანკი<sup>5</sup> (Socher et al., 2013b), რომელიც შედგება 11,855 წინადადების 215,154 ფრაზაში ხუთნაირად მონიშნული განწყობის მაჩვენებლისგან (ძალიან უარყოფითი, ნეგატიური, ნეიტრალური, დადებითი, ძალიან დადებითი). სტანდარტული დახლეჩვაც მოცემულია: 8544 წინადადება გავარჯიშებისთვის (training), 1101 შემონმებისთვის (development ან validation) და 2210 ტესტირებისთვის (testing). წინადადების საშუალო სიგრძეა 19.1.



**ნახ. 6.** დეტალური კლასიფიკაციის ამოცანაში სატესტო სიმრავლეზე RNN-ის და LSTM-RNN-ის ათ-ათი გამოყენების სიზუსტეთა ბლოკური დიაგრამა (LSTM აღნიშნავს LSTM-RNN-ს).

გარდა ამისა, ხეთა ბანკში შესაძლებელია განწყობის ბინარული (დადებითი, უარყოფითი) კლასიფიკაცია, თუ ნეიტრალურ ქდეებს მოვაშორებთ. ეს გვაძლევს 6920 წინადადებას გავარჯიშებისთვის, 872-ს შემონმებისთვის და 1821-ს ტესტირებისთვის.

შეფასების მეტრიკა არის სიზუსტე, რომელიც მოცემულია, როგორც  $\frac{100 \times \#correct}{\#total}$ .

### 5.2 LSTM-RNN-ს და RNN-ს შედარება

**პარამეტრები.** სიტყვათა ვექტორების ინიციალიზაცია გავაკეთეთ GloVe-ს<sup>6</sup> 100-განზომილებიან (100-D) სიტყვათა ჩართვით (Pennington et al., 2014),


5 <http://nlp.stanford.edu/sentiment/treebank.html>

6 <https://nlp.stanford.edu/projects/glove/>

რომელიც მომზადდა სიტყვათა 6-მილიარდიან (6B) კორპუსზე. ნონის მატრიცის სანყისი მნიშვნელობები ერთგვაროვნად იყო შერჩეული  $[-\frac{1}{\sqrt{n}}, \frac{1}{\sqrt{n}}]$  სიმეტრიული ინტერვალიდან, სადაც  $n$  არის შემავალ ერთეულთა მთლიანი რაოდენობა.

თითოეული მოდელისთვის (RNN და LSTM-RNN) გამოვცადეთ გააქტიურების სამი ფუნქცია: **softmax**, **tanh** და **softsign**, რამაც ექვს ქვემოდელამდე მიგვიყვანა. ქვემოდელების შესამოწმებელ სიმრავლეზე მორგებისას შიგა კვანძების ვექტორული წარმოდგენების განზომილებად ავირჩიეთ  $d = 50$ , დასწავლის სიჩქარედ **0.05**, რეგულარიზაციის პარამეტრად  $\lambda = 10^{-3}$  და მინი-პაკეტის ზომად **5**.

თითოეული ქვემოდელი 10-ჯერ ვამუშავეთ თითოეულ ამოცანაზე. ყოველ ჯერზე ქვემოდელები 20 ეპოქის განმავლობაში ვავარჯიშეთ და შევარჩიეთ ქსელი, რომელმაც უმაღლეს სიზუსტეს მიაღწია სატესტო სიმრავლეზე.



**ნახ. 7.** ბინარული კლასიფიკაციის ამოცანაში სატესტო სიმრავლეზე RNN-ის და LSTM-RNN-ის ათ-ათი გამოყენების სიზუსტეთა ბლოკური დიაგრამა (LSTM აღნიშნავს LSTM-RNN-ს).

**შედეგები.** ნახ. 6 და 7 აჩვენებს საბოლოო ქსელების სიზუსტეს სატესტო სიმრავლეზე დეტალური კლასიფიკაციისა და ბინარული კლასიფიკაციის ამოცანებში. შეიძლება ითქვას, რომ LSTM-RNN-მა RNN-ზე აშკარად უკეთესი შედეგი მოგვცა, როცა გააქტიურების ფუნქციებად **tanh** ან **softsign** იყო გამოყენებული. ამ ფუნქციად **sigmoid**-ის გამოყენების დროს განსხვავება ასე ცხადად არ ჩანს, მაგრამ როგორც ეტყობა, LSTM-RNN აქაც ოდნავ უკეთესია. Tanh-LSTM-RNN-ს და softsign-LSTM-RNN-ს აქვთ უმაღლესი მედიანური სიზუსტეები (**48.1** და **86.4**)

## COMPUTATION

შესაბამისად დეტალური კლასიფიკაციის ამოცანასა და ბინარული კლასიფიკაციის ამოცანაში.

RNN-ის მოდელში გასაკვირია, რომ **sigmoid** ფუნქციამ კარგი შედეგი მოგვცა. დეტალურ ამოცანაში ეს შედეგი ორი სხვა ფუნქციის შედეგის სადარია, ბინარულ ამოცანაში კი **softsign** ფუნქციის შედეგს სჯობს. ასეთი მაჩვენებელი გასაკვირია იმის გათვალისწინებით, რომ სიგმოიდს ამ ბოლო დროს ხშირად არ მიმართავენ. **softsign** ფუნქციას, რომელიც ღრმა ქსელებზე **tanh**-ზე უკეთ მუშაობდა (Glorot and Bengio, 2010), ჩვენს ექსპერიმენტში რაიმე გაუმჯობესება არ გამოუჩვენებია.

LSTM-RNN მოდელში **tanh** ფუნქცია, საზოგადოდ, მუშაობდა ყველაზე უკეთ, ხოლო **sigmoid** ფუნქცია ყველაზე ცუდად. ეს შედეგი ეთანხმება LSTM არქიტექტურისთვის გააქტიურების ფუნქციის არჩევის იმ ზოგად ტენდენციას, რაც რეკურენტულ ქსელთა კვლევაში არსებობს (Gers, 2001; Sutskever et al., 2014).

### 5.3 შედარება სხვა მოდელებთან

LSTM-RNN-ის (**tanh**-ით) გამოყენება წინა ექსპერიმენტში შევადარეთ არსებულ მოდელებს: Naive Bayes-ს ბიგრამული ნიშნების მულტისიმრავლით (BiNB), რეკურსიულ ნეირონულ ტენზორულ ქსელს (RNTN) (Socher et al., 2013b), კონვოლუციურ ნეირონულ ქსელს (CNN) (Kim, 2014), დინამიკურ კონვოლუციურ ნეირონულ ქსელს (DCNN) (Kalchbrenner et al., 2014), აბზაცთა ვექტორებს (PV) (Le and Mikolov, 2014) და ღრმა რეკურსიულ ნეირონულ ქსელს (DRNN) (Irsoy and Cardie, 2014).

მათ შორის BiNB ერთადერთია, რომელიც არ არის ნეირონული ქსელის მოდელი. RNTN და DRNN არის RNN-ის ორი სხვადასხვა გაფართოება. RNTN ინარჩუნებს RNN-ს სტრუქტურას და კომპოზიციისთვის იყენებს როგორც მატრიცა-ვექტორულ გამრავლებას, ისე ტენზორულ ნამრავლს; DRNN კი ქსელს აღმავებს ერთზე მეტი RNN-ის ჰორიზონტალური გადაბმით. CNN, DCNN და PV არ ემყარება სინტაქსურ ხეებს. CNN იყენებს კონვოლუციურ და მაქს-პულინგის შრეებს სხვადასხვა სიგრძის მქონე მიმდევრობებთან სამუშაოდ. DCNN არის იერარქიული იმ თვალსაზრისით, რომ ის ერთმანეთზე ალაგებს კონვოლუციის შრეებს, რომელთა შორის **k**-მაქს-პულინგის შრე შეიძლება მოთავსდეს. PV-ში წინადადება (ან დოკუმენტი) წარმოდგენილია, როგორც შემავალი ვექტორი მასში შემომავალი სიტყვების პროგნოზირებისთვის.

მოდელი	დეტალური	ბინარული
BiNB	41.9	83.1
RNTN	45.7	85.4
CNN	48.0	<u>88.1</u>
DCNN	48.5	86.8
PV	48.7	87.8
DRNN	<u>49.8</u>	86.6
LSTM-RNN GloVe-100D-ით	48.0	86.2
LSTM-RNN GloVe-300D-ით	49.9	88.0

ცხრილი 1. **tanh** LSTM-RNN-ის სიზუსტეების შედარება სხვა მოდელებთან

ცხრილი 1 (წყვეტილი ხაზის ზემოთ) გვიჩვენებს ამ მოდელების სიზუსტეებს. LSTM-RNN-ის სიზუსტეები აღებულია ქსელიდან, რომელმაც საუკეთესო შედეგი მოგვცა შემონმების სიმრავლეზე 10-ჯერ შესრულების შემდეგ. სხვა მოდელების სიზუსტე გადმონერილია შესაბამისი სტატიებიდან. LSTM-RNN აშკარად უარესი იყო ვიდრე DCNN, PV, DRNN ორივე ამოცანაში და უარესი, ვიდრე CNN ბინარულ ამოცანაში.

### 5.4 საუკეთესო შედეგებისკენ სიტყვათა უკეთესი ჩართვებით

ჩვენ შევჩერდებით DRNN-ზე, რომელიც ოთხ მოდელს (CNN, DCNN, PV, DRNN) შორის ყველაზე მეტად ჰგავს LSTM-RNN-ს. მართლაც, ირსოის და კარდის (Irsoy and Cardie, 2014, ცხრილი 1a) მიხედვით, LSTM-RNN-ის მიერ ნაჩვენები შედეგი არაფრით ჩამოუვარდება<sup>7</sup> მათი ერთშრიანი DRNN-ის ( $d = 340$ ) მიერ დროშაუთით (ანუ გავარჯიშებისას შემთხვევით შერჩეული ზოგი ნეირონის ამოგდებით) ნაჩვენებ შედეგს. დროშაუთი ნეირონული ქსელების გავარჯიშების მძლავრი ტექნიკაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ძლიერი რეგულარიზაციის მეთოდის როლს ასრულებს ნეირონების თვითადაპტაციის აკრძალვაში, არამედ იმიტომაც, რომ შეუძლია ეფექტურად ააგოს საზიარო წონების მქონე ნეირონულ ქსელთა დიდი რაოდენობა

7 ირსოიმ და კარდიმ (Irsoy and Cardie, 2014) გამოიყენეს 300-D word2vec სიტყვათა ჩართვები, რომელიც 100B სიტყვათა კორპუსზე იყო გავარჯიშებული. ჩვენ ვიყენებდით GloVe-ს 100-D სიტყვათა ჩართვებს, გავარჯიშებულს 6B სიტყვათა კორპუსზე. იმ ფაქტიდან, რომ მათ მიაღწიეს **46.1** სიზუსტეს RNN-ით ( $d = 50$ ) დეტალურ ამოცანაში და **85.3** სიზუსტეს ბინარულ ამოცანაში, ხოლო RNN-ის ( $d = 50$ ) ჩვენმა იმპლემენტაციამ უფრო ცუდი შედეგი აჩვენა (იხ. ცხრილი 6 და 7), ვასკნით, რომ GloVe-ს 100-D სიტყვათა ჩართვები არაა უფრო შესაფერისი, ვიდრე word2vec-ის 300-D სიტყვათა ჩართვები.

## COMPUTATION

(Srivastava et al., 2014). დროპაუტის მეშვეობით, ირსოიმ და კარდიმ (Irsoy and Cardie, 2014) მოახერხეს სამშრიანი DRNN-ის ( $d = 200$ ) სიზუსტის **46.06**-დან **49.5** -მდე გაზრდა დეტალურ ამოცანაში.

მეორე ექსპერიმენტში შევეცადეთ, გაგვეუმჯობესებინა LSTM-RNN მოდელის სიზუსტე. ირსოის და კარდის (Irsoy and Cardie, 2014) გავლენით, შევეცადეთ გამოგვეყენებინა დროპაუტი და სიტყვათა უკეთესი ჩართვები. თუმცა, დროპაუტი LSTM-თან არ გამოდგა. მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ დროპაუტმა მისი მესხიერება დააზიანა, რითაც გავარჯიშება გართულდა. სამაგიეროდ, სიტყვათა უკეთესმა ჩართვებმა გაამართლა. ჩვენ გამოვიყენეთ GloVe-ს 300-D სიტყვათა ჩართვები, რომლებიც 840B სიტყვათა კორპუსზე იყო გავარჯიშებული. შემონმების სიმრავლეზე ცდისას, ჰიპერ-პარამეტრებისთვის იგივე მნიშვნელობები ავირჩიეთ, რაც პირველ ექსპერიმენტში გარდა იმისა, რომ დასწავლის სიჩქარე **0.01**-ით განვსაზღვრეთ. მოდელი ათჯერ ვამუშავეთ და შევარჩიეთ ქსელები, რომლებმაც სატესტო სიმრავლეზე უმაღლესი სიზუსტე მოგვცეს. ცხრილი 1 (წყვეტილი ხაზის ქვემოთ) აჩვენებს ამ შედეგებს. GloVe-ს 300-D სიტყვათა ჩანართების გამოყენება ძალიან სასარგებლო იყო: LSTM-RNN-ის შედეგი არაფრით ჩამოუვარდებოდა DRNN-ის შედეგს დეტალურ ამოცანაზე და CNN-ის შედეგს ბინარულ ამოცანაზე. ამიტომ, ორივე ამოცანის გათვალისწინებით, LSTM-RNN-მა GloVe-ს 300-D სიტყვათა ჩართვით ყველა სხვა მოდელს აჯობა.

## 6 დისკუსია და დასკვნა

ჩვენ შემოვიღეთ კომპოზიციის ახალი მეთოდი რეკურსიული ნეირონული ქსელის (RNN) მოდელისთვის ხანგრძლივმოქმედი ხანმოკლე მესხიერების (LSTM) არქიტექტურის გაფართოებით. ეს უკანასკნელი ფართოდ გამოიყენება რეკურენტული ნეირონული ქსელის კვლევაში.

ისმის კითხვა, თუ რატომ იმუშავა LSTM-RNN-მა ტრადიციულ RNN-ზე უკეთ. იმის გათვალისწინებით, რომ LSTM RNN-ებისთვის უნდა მუშაობდეს იმის მსგავსად, როგორც ისმუშაობს LSTM რეკურენტული ნეირონული ქსელებისთვის, ჩვენ ვსესხულობთ (Bengio et al., 2013, ნაწილი 3.2)-ში მოყვანილ არგუმენტს ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად. ბენჯიო განმარტავს, რომ LSTM მოქმედებს, როგორც დაბალი გადაცემის ფილტრი, „აქედან გამომდინარე, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკეული ობიექტების ფოკუსირებისთვის მონაცემების სხვადასხვა

სიხშირის რეგიონებზე“. ეს გულისხმობს, რომ LSTM თამაშობს დანაკარგებიანი შემკუმშველის როლს, რომელიც გლობალურ ინფორმაციას ინარჩუნებს დაბალი სიხშირის რეგიონებზე ფოკუსირებით და შლის ხმაურს მაღალი სიხშირის რეგიონების იგნორირებით. მაშასადამე, ამ შემთხვევაში კომპოზიცია შეიძლება განვიხილოთ როგორც შეკუმშვა, რეკურსიული ავტო-კოდირების (RAE) (Socher et al., 2011a) მსგავსად. რადგან RNN-ის როგორც RAE-ს წინასწარი გავარჯიშება საერთო შედეგს აუმჯობესებს (Socher et al, 2011a; Socher et al., 2011c), LSTM-ის შემკუმშველად დანახვამ შეიძლება ახსნას, თუ რატომ იმუშავა LSTM-RNN-მა იმაზე უკეთ, ვიდრე RNN მუშაობს წინასწარი გავარჯიშების გარეშე.

LSTM-RNN-ს და DRNN-ს (Irsoy and Cardie, 2014) შედარება გვაძლევს მინიშნებას, თუ როგორ შეიძლება ჩვენი მოდელის გაუმჯობესება. ექსპერიმენტული შედეგების მიხედვით, LSTM-RNN-მა GloVe-ს 300-D სიტყვათა ჩართვების გარეშე DRNN-ზე უარესად იმუშავა მაშინ, როცა DRNN მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დროპაუტის წყალობით. დროპაუტის მსგავსი მეთოდის მოძიებამ, რომელიც არ დააზიანებს LSTM-ის მეხსიერებას, შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს საერთო ეფექტურობა. ეს იქნება ჩვენი სამომავლო საქმიანობის თემა.

## ლიტერატურა

- Marco Baroni, Raffaella Bernardi, and Roberto Zamparelli. 2013. Frege in space: A program for compositional distributional semantics. In A. Zaenen, B. Webber, and M. Palmer, editors, *Linguistic Issues in Language Technologies*. CSLI Publications, Stanford, CA.
- Yoshua Bengio, Nicolas Boulanger-Lewandowski, and Razvan Pascanu. 2013. Advances in optimizing recurrent networks. In *Acoustics, Speech and Signal Processing (ICASSP), 2013 IEEE International Conference on*, pages 8624–8628. IEEE.
- George Cybenko. 1989. Approximation by superpositions of a sigmoidal function. *Mathematics of control, signals and systems*, 2(4):303–314.
- John Duchi, Elad Hazan, and Yoram Singer. 2011. Adaptive subgradient methods for online learning and stochastic optimization. *The Journal of Machine Learning Research*, pages 2121–2159.
- Jeffrey L. Elman. 1990. Finding structure in time. *Cognitive science*, 14(2):179–211.
- Felix Gers. 2001. Long short-term memory in recurrent neural networks. Unpublished PhD dissertation, *École Polytechnique Fédérale de Lausanne*, Lausanne, Switzerland.
- Xavier Glorot and Yoshua Bengio. 2010. Understanding the difficulty of training deep feedforward neural networks. In *International conference on artificial intelligence and statistics*, pages 249–256.

## COMPUTATION

- Christoph Goller and Andreas Küchler. 1996. Learning task-dependent distributed representations by backpropagation through structure. In *International Conference on Neural Networks*, pages 347–352. IEEE.
- Alex Graves. 2012. Supervised sequence labelling with recurrent neural networks, volume 385. Springer.
- Sepp Hochreiter and Jürgen Schmidhuber. 1997. Long short-term memory. *Neural computation*, 9(8):1735–1780.
- Sepp. Hochreiter, Yoshua Bengio, Paolo. Frasconi, and Jürgen Schmidhuber. 2001. Gradient flow in recurrent nets: the difficulty of learning long-term dependencies. In Kremer and Kolen, editors, *A Field Guide to Dynamical Recurrent Neural Networks*. IEEE Press.
- Ozan Irsoy and Claire Cardie. 2014. Deep recursive neural networks for compositionality in language. In *Advances in Neural Information Processing Systems*, pages 2096–2104.
- Nal Kalchbrenner, Edward Grefenstette, and Phil Blunsom. 2014. A convolutional neural network for modelling sentences. In *Proceedings of the 52nd Annual Meeting of the Association for Computational Linguistics (Volume 1: Long Papers)*, pages 655–665, Baltimore, Maryland, June. Association for Computational Linguistics.
- Yoon Kim. 2014. Convolutional neural networks for sentence classification. In *Proceedings of the 2014 Conference on Empirical Methods in Natural Language Processing (EMNLP)*, pages 1746–1751, Doha, Qatar, October. Association for Computational Linguistics.
- Quoc Le and Tomas Mikolov. 2014. Distributed representations of sentences and documents. In *Proceedings of the 31st International Conference on Machine Learning (ICML-14)*, pages 1188–1196.
- Phong Le and Willem Zuidema. 2014a. The insideoutside recursive neural network model for dependency parsing. In *Proceedings of the 2014 Conference on Empirical Methods in Natural Language Processing*. Association for Computational Linguistics.
- Phong Le and Willem Zuidema. 2014b. Inside-outside semantics: A framework for neural models of semantic composition. In *NIPS 2014 Workshop on Deep Learning and Representation Learning*.
- Tomas Mikolov, Martin Karafiát, Lukas Burget, Jan Cernocky, and Sanjeev Khudanpur. 2010. Recurrent neural network based language model. In *INTERSPEECH*, pages 1045–1048.
- Jeff Mitchell and Mirella Lapata. 2009. Language models based on semantic composition. In *Proceedings of the 2009 Conference on Empirical Methods in Natural Language Processing*, pages 430–439.
- Romain Paulus, Richard Socher, and Christopher D Manning. 2014. Global belief recursive neural networks. In *Advances in Neural Information Processing Systems*, pages 2888–2896.



- Jeffrey Pennington, Richard Socher, and Christopher D Manning. 2014. Glove: Global vectors for word representation. Proceedings of the Empirical Methods in Natural Language Processing (EMNLP-2014), 12.
- David E Rumelhart, Geoffrey E Hinton, and Ronald J Williams. 1988. Learning representations by backpropagating errors. Cognitive modeling, 5.
- Richard Socher, Christopher D. Manning, and Andrew Y. Ng. 2010. Learning continuous phrase representations and syntactic parsing with recursive neural networks. In Proceedings of the NIPS-2010 Deep Learning and Unsupervised Feature Learning Workshop.
- Richard Socher, Eric H. Huang, Jeffrey Pennington, Andrew Y. Ng, and Christopher D. Manning. 2011a. Dynamic pooling and unfolding recursive autoencoders for paraphrase detection. Advances in Neural Information Processing Systems, 24:801–809.
- Richard Socher, Cliff C. Lin, Andrew Y. Ng, and Christopher D. Manning. 2011b. Parsing natural scenes and natural language with recursive neural networks. In Proceedings of the 26th International Conference on Machine Learning, volume 2.
- Richard Socher, Jeffrey Pennington, Eric H Huang, Andrew Y Ng, and Christopher D Manning. 2011c. Semi-supervised recursive autoencoders for predicting sentiment distributions. In Proceedings of the Conference on Empirical Methods in Natural Language Processing, pages 151–161.
- Richard Socher, John Bauer, Christopher D Manning, and Andrew Y Ng. 2013a. Parsing with compositional vector grammars. In Proceedings of the 51st Annual Meeting of the Association for Computational Linguistics, pages 455–465.
- Richard Socher, Alex Perelygin, Jean Y Wu, Jason Chuang, Christopher D Manning, Andrew Y Ng, and Christopher Potts. 2013b. Recursive deep models for semantic compositionality over a sentiment treebank. In Proceedings EMNLP.
- Nitish Srivastava, Geoffrey Hinton, Alex Krizhevsky, Ilya Sutskever, and Ruslan Salakhutdinov. 2014. Dropout: A simple way to prevent neural networks from overfitting. The Journal of Machine Learning Research, 15(1):1929–1958.
- Ilya Sutskever, Oriol Vinyals, and Quoc VV Le. 2014. Sequence to sequence learning with neural networks. In Advances in Neural Information Processing Systems, pages 3104–3112.
- Kai Sheng Tai, Richard Socher, and Christopher D Manning. 2015. Improved semantic representations from tree-structured long short-term memory networks. arXiv preprint arXiv:1503.00075.
- Paul J Werbos. 1990. Backpropagation through time: what it does and how to do it. Proceedings of the IEEE, 78(10):1550–1560.
- Xiaodan Zhu, Parinaz Sobhani, and Hongyu Guo. 2015. Long short-term memory over tree structures. arXiv preprint arXiv:1503.04881.

თარგმნის ნინო ამირიძემ და თემურ კუციამ

# ANTI-UNIFICATION AND NATURAL LANGUAGE PROCESSING

Nino Amiridze\* and Temur Kutsia\*\*

\*Ivane Javakishvili Tbilisi State University

\*\*RISC, Johannes Kepler University Linz, Austria

## Abstract

Anti-unification is a well-known method to compute generalizations in logic. Given two objects, the goal of anti-unification is to reflect commonalities between these objects in the computed generalizations, and highlight differences between them.

Anti-unification appears to be useful for various tasks in natural language processing. Semantic classification of sentences based on their syntactic parse trees, grounded language learning, semantic text similarity, insight grammar learning, metaphor modeling: This is an incomplete list of topics where generalization computation has been used in one form or another. The major anti-unification technique in these applications is the original method for first-order terms over fixed arity alphabets, introduced by Plotkin and Reynolds in 1970s, and some of its adaptations.

The goal of this paper is to give a brief overview about existing linguistic applications of anti-unification, discuss a couple of powerful and flexible generalization computation algorithms developed recently, and argue about their potential use in natural language processing tasks.

## 1 Introduction

In this paper we discuss a formal tool coming from logic (anti-unification), which has been used in various natural language processing tasks, see, e.g., [13-15,19-21,31,36-40]. Our motivation is to introduce novel anti-unification techniques to natural language researchers, presenting the corresponding algorithms and some illustrative examples. We hope that these techniques can have helpful applications in linguistics-related areas, and experts can find more elaborated use to them than we envisaged.

Anti-unification aims at computing generalizations of the given objects. Generalization computation is a pretty common task in learning, where one would like to extract common features from the given concrete examples. In logic, the problem often is formulated for two

terms: Given  $s$  and  $t$ , the problem is to compute their generalization, a term  $r$  such that  $s$  and  $t$  can be obtained from  $r$  by some variable substitutions. The interesting generalizations are those, which retain maximal similarities between  $s$  and  $t$ , and abstract over their differences by fresh variables in a uniform way. Such generalizations are called the least general generalizations (lggs). For instance, the terms  $f(a, g(a))$  and  $f(b, g(b))$ , where  $a$  and  $b$  are constants, have several generalizations:  $x, f(x, y), f(x, g(y))$ , and  $f(x, g(x))$ , but the lgg is one:  $f(x, g(x))$ . It indicates that the original terms have in common the main binary function symbol  $f$  and the unary function symbol  $g$  in the second argument, and that the first argument of  $f$  and the argument of  $g$  are the same.

Anti-unification has been introduced in 1970s in two papers, published in the same volume of Machine Intelligence, by Plotkin [32] and Reynolds [33]. The algorithms have been formulated for first-order terms over a fixed arity (ranked) alphabet, and they compute the least general generalization for input terms. The original motivation was the application in inductive reasoning, and later the technique (extended to richer theories) has been used in the areas such as inductive logic programming, machine learning, analogical reasoning, software code close detection, program analysis, proof generalization, learning custom gestures, etc. The name anti-unification indicates that the process is dual to unification [34], which computes most general common instance of terms.

Semantic parsing is a natural language processing task where anti-unification has been used in the past. The system Wolfie [39] applies Plotkin's clause anti-unification in the step of computing an initial set of candidate meanings for each possible phrase. In the Cocktail system [38], two inductive logic programming approaches have been combined for the task of learning semantic parsers. Also here, Plotkin's anti-unification is used. More modern methods of semantic parsing are based on statistical approaches.

